# სპორტიული

სპორტული გაზეთი ოთხშაბათი 15 ოქტომბერი 2008 №238 (3462) ფასი 50 თეთრი


# ჩვენც და ისინიც: მხოლოდ მოგება!
## ვის დააწვება წაგება ტვირთად?



დღეს ვიღაცას წიწაკა ემწარება





## სულ სხვა ტური

როგორ გაეტევა ამდენი დიადი ტრიუმფალური თაღის ქვეშ?

15


საქართველოს პრეფერანსის ფედერაცია აწყობს ეროვნულ ჩემპიონატს, 18-19 ოქტომბერს ჭადრაკის სასახლეში. რეგისტრაცია იწყება 16 ოქტომბრიდან. საკონტაქტო ტელეფონი 899 11 14 19


# დაუცველი და უპასუხისმგებლო

ფიბა-ევროპის თასი. პირველი წრე, პირველი მატჩი. გუშინ. სპორტის სასახლე

## ენერჯი-ინვესტი 81:110 სუმიხიმპრომი






ბადრი კეთილაძის ფოტო

# მარკოვმა აგრესია თქვა

**თავიდან** როგორც იყო ცნობილი, ბულგარეთის ნაკრების მწვრთნელ პლამენ მარკოვის პრესკონფერენცია „ეროვნულზე“ 20 საათზე უნდა გამართულიყო, თუმც სტუმრებმა გეგმები შეცვალეს და მარკოვის გუნდი სტადიონს 18.30 საათზე მოადგა, 15 წუთში კი პრესკონფერენციაც დაიწყო. ბულგარელთა თავკაცმა ქართველი და ბულგარელი ჟურნალისტების შეკითხვებს უპასუხა...

— ტრავმის გამო ლუსიუ ვაგნერი დაგვაკლდა. ის თბილისში არც წამოგვიყვანია. დანარჩენები კი მწყობრში არიან.

**— თბილისში ფრე დაგაკმაყოფილებთ?**

— ჩვენ მაქსიმუმისთვის ჩამოვედით და ყველანაირად ვეცდებით, თამაში მოვიგოთ.

**— საქართველო — კვიპროსის მატჩს ბულგარეთის ახალგაზრდული ნაკრების მთავარი მწვრთნელი ატანას მარინოვი ესწრებოდა. მან რა გითხრათ საქართველოს ნაკრებზე ახალი?**

— ფაქტობრივად, რა ინფორმაციაც მქონდა, იმაზე მეტი არაფერი გამიგია, ახალი არაფერი უთქვამს.

**— საერთოდ, ჩვენს ჯგუფზე რას იტყვით?**

— ჯგუფის უპირობო ფავორიტი იტალიაა, როგორც ჩვენ, ასევე საქართველოსაც შეუძლია მეორე ადგილისთვის ბრძოლა. ისე, სხვა გუნდებსაც თანაბარი შანსი აქვთ.

**— ხვალ შემტევ ფეხბურთს ითამაშებთ?**

— ვერ გეტყვით, თამაშიდან გამომდინარე გამოჩნდება. ერთი ფაქტია, რომ თუ აგრესიულად არ ვითამაშებთ, სასურველ შედეგს ვერ მივიღებთ.

**— სტანისლავ ანგელოვი დაგიბრუნდათ და ის ითამაშებს?**

— თამაშის დაწყებისას შეიტყობთ, ვინ ითამაშებს და ვინ — არა.

**— საქართველოს დისკვალიფიკაციის გამო ორი ფეხბურთელი აკლია...**

— საქართველოს არ უჭირს ხოლმე შემცვლელების პოვნა. ასე რომ, ეს ჩვეულებრივი ამბავია.

**— ნახევარმცველ ლევან ყენიასაც კოჭის ტრავმა აქვს...**

— ამის თაობაზე არაფერი ვიცი.

**— იტალიასთან მატჩის შემდეგ ბულგარეთის ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა იორდან ლეჩკოვმა გუნდის ლიდერები — მარტინ პეტროვი, სტილიან პეტროვი და დიმიტარ ბერბატოვი — გააკრიტიკა. რა კომენტარს გააკეთებთ?**

— ეს ჩვენი შიდა სამზარეულოა და კომენტარისგან თავს შევიკავებ.

**ნუკრი ლოლაძე**

## სიონი მოგებით დაბრუნდა

**გუშინ** ბოლნისის „სიონი“ [illegible] „სიმურგს“ დაუპირისპირდა და 2:1 იმარჯვა.

მოგეხსენებათ, „სიმურგში“ ოთხი ჩვენებური ირიცხება და ერთმა პირველივე წუთზე გაიტანა — დავით ბოლქვაძემ შორიდან იხეირა.

ქართული გუნდი მეორე ტაიმში გამოფხიზლდა და ორჯერ მოახერხა მასპინძლების დამწუხრება — ჯიქიძემ გაათანაბრა, გამარჯვებისა კი რევაზ გოცირიძემ გაიტანა.

სიხარული ბოლნისელებს ვლადიმერ კაკაშვილის ტრავმამ ჩაუმწარა — მან კუნთი იტკინა.

„სიმურგში“ 90-90 წუთი ითამაშეს ბოლქვაძემ და მიხეილ მახვილაძემ, გრიგოლ დოლიძე და კახა ჩხეტიანი კი შესვენებაზე შეცვალეს.

„სიონის“ შემადგენლობა ასეთი იყო: *ბობღიაშვილი, ქემოკლიძე, კაკაშვილი, სვანიძე, ხუბუა, ალადაშვილი, დიდავა, კოშკაძე, ა. ალავიძე, დავითაშვილი, ს. იაშვილი*

*შეცვლაზე შევიდნენ: რ. გოცირიძე, ჯიქიძე, შავგულიძე, გ. ჩიკაძე, ლ. ბაჯელიძე, შ. ჯიქია.*

**ნუკრი ლოლაძე**

## პირველი ლიგა

### დასავლეთი

**გურია 4:1 მერანი (მ)**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჭიათურა | 7 | 5 | 1 | 1 | 16:4 | 16 |
| კოლხეთი | 6 | 5 | 1 | 0 | 10:3 | 16 |
| ბაია | 6 | 4 | 1 | 1 | 11:3 | 13 |
| სამტრედია | 7 | 4 | 1 | 2 | 12:6 | 13 |
| მერანი (მ) | 6 | 3 | 2 | 1 | 7:5 | 11 |
| გურია | 6 | 2 | 2 | 2 | 8:9 | 8 |
| ხობი | 6 | 1 | 2 | 3 | 4:7 | 5 |
| ზესტაფონი 2 | 6 | 1 | 2 | 3 | 2:8 | 5 |
| ბათუმი | 7 | 1 | 2 | 4 | 6:14 | 5 |
| ტორპედო 2008 | 7 | 1 | 1 | 5 | 1:6 | 4 |
| მეშახტე | 6 | 0 | 1 | 5 | 3:13 | 1 |

# ბერბატოვმა ქართველები სურათებით გაახარა

## სტუმრებს მხოლოდ მოგება ესმით

**სანამ** ბულგარელთა მთავარი მწვრთნელი პლამენ მარკოვი საპრესკონფერენციო დარბაზიდან გასახდელისკენ გაემართა, მის შეგირდებს მოედანზე ახლო წარსულში ცნობილი ფეხბურთელი ლუბო პენევი გამოუძღვა. ეს ფეხბურთელი, გარდა იმისა, რომ ძალიან კარგი თავდამსხმელი იყო, იმითაც გახლდათ ცნობილი, რომ კიბო აღმოაჩნდა, ოპერაცია გაიკეთა და, თქვენ წარმოიდგინეთ, კარიერის გაგრძელებაც შეძლო. ის ბულგარეთის ნაკრების ცნობილი მთავარი მწვრთნელის, დიმიტარ პენევის ძმისშვილია.

ბულგარელები ისე ხალისიანად იყვნენ, მეტი რომ არ შეიძლება — თან ლაზღანდარობდნენ, თან ბურთს აგორებდნენ. სავარჯიშოდ გამოსვლას არ ჩქარობდა მათი ლიდერი, „მანჩესტერ იუნაიტედის“ ფორვარდი დიმიტარ ბერბატოვი. ფეხბურთელთაგან ყველაზე ბოლო ის გამოვიდა.

რამდენიმე ქართველი ქომაგი ბერბატოვს სულმოუთქმელად ელოდა და მისი გამოჩენა და ფოტოაპარატების ჩხაკუნი ერთი იყო.

მანჩესტერელს ქართველ ქომაგებთან სურათის გადაღებაზე უარი არ უთქვამს — ყველა მსურველი დააკმაყოფილა და გუნდს შეუერთდა. მერე „ბერბა“ ერთ თანაგუნდელთან განცალკევდა და ბურთიც გააგორა.



დიმიტარ ბერბატოვი

ბადრი კეთილაძის ფოტო

ამასობაში ჟურნალისტებისთვის მოცემული 15 წუთიც ამოიწურა, გვირაბიდან გამოჩნდა პლამენ მარკოვი და ჟურნალისტებმაც იქაურობა დავტოვეთ.

მოგვეცა საშუალება, რამდენიმე ბულგარელ კოლეგას გავსაუბრებოდით — საქართველოსთან მატჩზე დასასწრებად 21 ჟურნალისტი ჩამოვიდა. სამი ტელეკომპანია და მათ შორის ბულგარეთის პირველი არხი, პირდაპირ ეთერში გადასცემს მატჩს. როგორც მათ გვითხრეს, ჩვენს ქვეყანაში მოგების გარდა არაფრის გაგონება სურთ.

ბულგარელებს კი უნდათ გამარჯვება, მაგრამ ახლა ჩვენ გვკითხონ — იქნებ ამჯერად მაინც არ დაუთუთქონ გულები ქართველ ქომაგებს ექტორ რაულ კუპერის შეგირდებმა.

მაშ ასე, დღეს 20.30 საათზე „ეროვნულზე“ საქართველო — ბულგარეთია.

რომელი აჯობებს? ვნახოთ...

**ნუკრი ლოლაძე**

### მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატი სამხრეთ ამერიკა

შესარჩევი მატჩი

ბოლივია 2:2 ურუგვაი

### საფრანგეთი

III ლიგა

არლი 1:0 გენიონი
ბაიონი 1:0 როდესი
კანი 2:0 კალე
შერბური 2:0 ეური
ლავალი 1:1 ლუანი
ლიბურნი 2:3 კრუა დე სავუა
სატე 0:0 ნიორი

### ევროპის 2009 წლის U-21 ჩემპიონატი

შესარჩევი მატჩები

ბელარუსი 2:0 თურქეთი
ფინეთი 2:1 (4:2პენ) ავსტრია
ინგლისი 2:2 უელსი
ესპანეთი 3:1დ.დ.(2:1) შვეიცარია

### ირლანდია

პრემიერდივიზიონი

სტ. პატრიკსი — გალვეი გადაიდო

### ლატვია

ვირსლიგა

ბლაზმა 0:0 ოლიმპსი

### უნგრეთი

ლიგის თასი

უიპეშტი 0:0 პაკსი

### პოლონეთი

ლიგის თასი

ლეგია 4:0 პოლონია (ვ)

### ამხანაგური მატჩები

სარაგოსა 2:2 (2:4პენ) ხეტაფე
პორტუგალია U-21 0:1 უკრაინა U-21
საფრანგეთი 3:1 ტუნისი
დერი 0:1 კორკი

### რუმინეთი

თასი

ბოტოშანი 0:0 (4:3პენ) ბუზაუ
პლოიეშტი 1:3 უნივერსიტატია
რამნიკუ 0:1 ოტოპენი
ტრიკოლორული 1:2 ოცელული
უნივ. კლუჟი 3:3 (10:11პენ) კლუჟი
ტარგუ 1:2 დინამო
სპორტული 2:0 სტიაუა
კლუჟი (მ) 0:1 ტიმიშოარა

### უელსი

ლიგის თასი

აბერისთვაითი 1:1 კარმათენი
დრუიცი 3:2 კლერნარფონი
პორტ ტალბოთი 3:3 ნეთი
პრესტატინი 3:4 საინტსი
ბანგური — კერსვი გადაიდო

### ევროპის 2009 წლის U-19 ჩემპიონატი

შესარჩევი მატჩები

ისრაელი 1:2 ფინეთი
პორტუგალია 1:1 ბულგარეთი
ლიტვა 3:0 ლუქსემბურგი
პოლანდია 1:2 გერმანია

საქართველოს ნაკრების თამაშების მიმოხილვას
წარმოგიდგენთ VEGA SLOT




ბაჩუკი კაპანაძის ფოტოები

# ჩვენც ის გვინდა, რაც ბულგარეთს უნდა

## ექტორ რაულ კუპერი: ლევან ყენია ძალიან საეჭვოა

თბილისი. 15 ოქტომბერი. 20.30 საათი. ეროვნული

### საქართველო — ბულგარეთი

**მსაჯები:** ბ. კუიპერსი, ა. ინია, ს. ვან როეკელი, ბ. ნიიჰუსი (ყველა ჰოლანდია);
**უეფას დამკვირვებელი:** ვ. კრონდლი (ჩეხეთი); **დელეგატი:** მ. ტორესი (ესპანეთი)

**ეროვნული** სტადიონის საპრესკონფერენციო დარბაზში გუშინ ხალხმრავლობა იყო: ჯერ ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა და პროფლიგის გენმდივანმა პაატა ბურჭულაძემ ისაუბრეს ბულგარეთთან მომავალი მატჩის ამბებზე, შემდეგ ჩვენი ნაკრების მწვრთნელმა ექტორ რაულ კუპერმა თქვა სათქმელი, საღამოს კი ჩვენების ადგილი ბულგარელთა თავკაცმა პლამენ მარკოვმა დაიკავა...

*ნოდარ ახალკაცი:* „რამდენიმე დღის წინ ზედიზედ ორი შეხვედრისა და თან ფიფას პრეზიდენტ ზეპ ბლატერის მასპინძლობისთვის ვემზადებოდით და, ცხადია, სადღეისოზე გაცილებით მეტი საორგანიზაციო საქმე იყო. ფიფას პრეზიდენტსა და კვიპროსის ნაკრებს ჩვენ მართლაც საკადრისად დავხვდით და სამწუხარო მხოლოდ მატჩის შედეგი თუ იყო. მსურს, რომ ჩვენს ქომაგებს მადლობა გადავუხადო მხარდაჭერისთვის. მათ თანადგომას გრძნობდა თითოეული ფეხბურთელი და მხურვალე ქომაგობით შეგულიანებულმა ფეხბურთელებმა მოახერხეს კიდეც ანგარიშის გათანაბრება. აქვე ქომაგობას ვეტყვი, რომ საქართველოს ნაკრებს, როგორც ყოველთვის, ახლაც თქვენი იმედი აქვს და თქვენი მხარდაჭერით, იმედია, ეროვნული გუნდი წარმატებას მიაღწევს.

...კვიპროსთან შეხვედრისას უსიამოვნო ინციდენტი კი მოხდა, ტრიბუნიდან მოედნისკენ რაღაც ისროლეს, მაგრამ საბედნიეროდ, მსაჯთა და დამკვირვებელთა პატაკებში მსგავსი არაფერი დაფიქსირებულა“.

*პაატა ბურჭულაძე:* „სადღეისო ინფორმაციით, ბულგარეთთან მატჩზე დასასწრები ბილეთები ჯერ კიდევ კვიპროსთან შეხვედრამდე გაიყიდა და ვფიქრობ, რომ სალაროებში ბევრი ბილეთი არც იქნება დარჩენილი. კვიპროსთან მატჩისას მომხდარი ამბები კი გავარკვიეთ და ზოგიერთმა ქომაგმა ადგილის დაკავება იმად ვერ შეძლო, რომ კვიპროსთან მატჩზე სწორედ ბულგარეთთან შეხვედრის ბილეთებით მივიდნენ“.

ფედერაციის პრეზიდენტმა და პროფლიგის გენმდივანმა სიტყვა დაამთავრეს თუ არა, დარბაზში ბულგარელი ჟურნალისტებიც გამოჩნდნენ. სტუმრებს საკმაო რაოდენობის ჩვენი კოლეგა ჩამოჰყვა, თუმც კუპერის პრესკონფერენციაზეც მათი სულ ერთი კითხვა იყო.

მეტოქეს ბევრი სიურპრიზი უნდა შესთავაზოთ? — ჰკითხა ბულგარელმა საქართველოს ნაკრების მწვრთნელს.

სიურპრიზებზე რა გითხრათ, განსაკუთრებული ალბათ არაფერი იქნება. თუ იქნება, ვერც ამის თაობაზე გეტყვითო — უპასუხა კუპერმა. მაგრამ ეს პრესკონფერენციის ბოლოს იყო, იქამდე კი ჩვენი გუნდის თავკაცმა თქვა:

— ცხადია, საქართველოს ნაკრები, როგორც ყოველთვის, ახლაც მხოლოდ მოსაგებად ითამაშებს და ვფიქრობ, ეს სულაც არ არის წარმოუდგენელი საქმე. ბულგარელებისაც გასაგებია და როგორც ისინი არიან მოგების იმედად, ისევე ვართ ჩვენც, მით უმეტეს, შინ ვთამაშობთ. რასაც ბულგარეთი აპირებს, იგივეს ვაპირებთ ჩვენც — მეტოქის დამარცხებას.

— ბულგარეთის წინააღმდეგ სათამაშო ტაქტიკაზე ბევრს ვმუშაობთ, მაგრამ, რა თქმა უნდა, ახლა ვერ გეტყვით რა გვაქვს ჩაფიქრებული. დიახ, გეთანხმებით, რომ მარტინ პეტროვი ძლიერი მარცხენაფლანგელი შემტევია, მაგრამ ჩვენ გვაქვს მოფიქრებული, მის წინააღმდეგ ეფექტურად როგორ უნდა ვითამაშოთ. პეტროვის გარდა ბულგარეთს სხვა ძლიერი ფეხბურთელებიც ჰყავს. მაგალითად, დიმიტარ ბერბატოვი, სტილიან პეტროვი...

— ბულგარეთის ნაკრების ჩერნოგორიასთან და იტალიასთან მატჩები ვნახე. ორივე შეხვედრაში ბულგარეთს კონტრშეტევებზე ჰქონდა აქცენტი, რაც კარგად გამოსდიოდა.

— ინდივიდუალიზმი თანამედროვე ფეხბურთშიც საჭიროა და უამისოდ ბევრი არაფერი გამოვა, მაგრამ მთავარი მაინც გუნდური თამაშია, ჩემთვის სწორედ ეს არის ყველაზე მნიშვნელოვანი.

— კვიპროსთან შეხვედრისას ჩვენ მოედნის შუაგულიდან შეტევის განვითარებას ვერ ვახერხებდით და ამავდროულად დაცვის ხაზში ბევრი შეცდომა გვქონდა. არადა, კვიპროსთან დაცვის უკეთეს თამაშს ველოდი, საამისო საფუძველი კი წინა ორმა მატჩმა მომცა. თუმცა კმაყოფილი ვარ, რომ ბიჭებმა პრესინგი კარგად ითამაშეს. მოკლედ, ვეცდებით, კვიპროსთან დაშვებული შეცდომები ბულგარეთთან აღარ გავიმეოროთ და წარმატებას მივაღწიოთ.

— მეკარე გიორგი ლომაიას კვიპროსთან თამაშისთვის, ცხადია, მხოლოდ დადებით შეფასებას მივცემდი, თუმცა კი, როგორც სხვა ფეხბურთელებს, მასაც უკეთ თამაშს მოვთხოვ.

— სამწუხაროა, მაგრამ შემადგენლობაში ორი აუცილებელი შეცვლა უნდა გავაკეთოთ — ზურაბ ხიზანიშვილი და რატი ალექსიძე დისკვალიფიცირებულნი არიან. ახლა ვერ ვიტყვი, ვინ შეცვლის ხიზანიშვილს. საეჭვოა ლევან ყენიას თამაშიც, მას კოჭის ტრავმა გაუმიზეზდა და ამიტომ სრული დატვირთვით ვერ ივარჯიშა. დარწმუნებული არ ვარ, რომ ყენია ბულგარეთთან ითამაშებს.

კუპერის პრესკონფერენციის შემდეგ კი „ეროვნულზე“ ჩვენი გუნდის ვარჯიში დაიწყო. ათი წუთის შემდეგ მწვრთნელმა ტრიბუნის დაცარიელება ითხოვა. ასეთი პრინციპი აქვს საქართველოს ნაკრების მწვრთნელს და რა გაეწყობა, მან ოღონდ კარგი შედეგი მოიტანოს და... იმ ათ წუთში კი ჩავინიშნეთ, რომ ლევან ყენია კუპერის თანაშემწე ფანტაგუსთან ერთად გუნდისგან განცალკევებით ძუნძულებდა, ხოლო სხვა ფეხბურთელებთან ერთად რატი ალექსიძე და ზურაბ ხიზანიშვილიც ვარჯიშობდნენ. ისინი დღეს ნაკრებს ვერ დაეხმარებიან...

**კობა ინასარიძე**



ლევან ყენიამ ცალკე ივარჯიშა



ბაჩუკი კაპანაძის ფოტოები

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ვის ემწარება დღეს წიწაკა?

## საქართველოს ნაკრებს საუკეთესო ბულგარეთიც ახსოვს და საზიზღარიც

1996 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი. 12 ოქტომბერი, 1994..
სოფია. „ვასილი ლევსკი". 45 000

**ბულგარეთი 2:0 საქართველო**

1:0, 2:0 კოსტადინოვი (58, 63)
საქართველო: დევაძე, რევიშვილი, ცხადაძე, შელია, ჩიხრაძე, კუდინოვი, ნემსაძე (ინალიშვილი 72), გოგიჩაიშვილი, ქეცბაია, ქინქლაძე, შ. არველაძე (გურული 78)
მწვრთნელი:. ალექსანდრე ჩივაძე
გაფრთხილება: კუდინოვი, ცხადაძე
მსაჯი: დ. გადოში (სლოვაკეთი)

1996 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი. 11 ოქტომბერი, 1995.
თბილისი. ბ. პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონი. 40 000

**საქართველო 2:1 ბულგარეთი**

1:0 შ. არველაძე (1), 2:0 ქინქლაძე (473), 2:1 სტოიჩკოვი (88)
საქართველო: ზოიძე, ლუდუშაური (ბერაძე 82), კუდინოვი, შელია, ჩიხრაძე, გოგიჩაიშვილი, ნემსაძე, ჯამარაული (გ. კილასონია 74), ა. არველაძე (ყაველაშვილი 46), ქინქლაძე, შ. არველაძე
მწვრთნელი: ალექსანდრე ჩივაძე
გაფრთხილება: ნემსაძე, გოგიჩაიშვილი, შელია
მსაჯი: უ. მაიერი (შვეიცარია)

ამხანაგური მატჩი. 12 ნოემბერი. 2005. სოფია, „ვასილი ლევსკი". 10 000

**ბულგარეთი 6:2 საქართველო**

1:0, 2:0 იანკოვი (3, 28), 3:0, 4:0 ბერბატოვი (35, 47), 5:0 ტოდოროვი (66), 5:1 ჯაკობია (86), 5:2 გოგუა (90), 6:2 ტოდოროვი (903)
საქართველო: რევიშვილი (სტურუა 69), მჟავანაძე (გოგუა 46), სალუქვაძე, ხიზანიშვილი, კალაძე, განუგრავა (კანდელაკი 67), კანკავა, დ. მუჯირი (ა. იაშვილი 46), კობიაშვილი, შ. არველაძე (ჯაკობია 69), დემეტრაძე (აშვეთია 56)
მწვრთნელი: გაიოზ დარსაძე
გაფრთხილება: მუჯირი
მსაჯი: მ. კარაჯიჩი (სერბეთი)



დიმიტარ ბერბატოვს საქართველოს ნაკრებისთვის გოლები გაუტანია

**1994 წლის** 12 ოქტომბერი იყო, სოფიის „ვასილი ლევსკიზე" საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა ისტორიაში პირველი გასვლითი ოფიციალური მატჩი რომ გამართა.

შინ მოლდოველებთან 0:1 მარცხის შემდეგ შეშინებულებიც კი ვიყავით, ემანდ, კატასტროფული წაგება არ ვნახოთო...

შიში მთლად უსაფუძვლო არ იყო, რაკილა ბულგარელებს მაშინ უძლიერესი ნაკრები ჰყავდათ, რომელმაც მანამდე, რამდენიმე თვის წინ, აშშ-ში გამართულ მსოფლიოს ჩემპიონატზე იფრინა და მეოთხე ადგილი დაიკავა.

„წიწაკის ქვეყნის" ნაკრების წარმატება მთლად სუპერსენსაციად არც ჩაუთვლიათ, რაკილა მწვრთნელ დიმიტარ პენევს მსოფლიო კლასის მოთამაშეები ჰყავდა — პირველ რიგში, „ბარსელონას" უხასიათო ვარსკვლავი ხრისტო სტოიჩკოვი, ვინაც მუნდიალის, ერთ-ერთი ბომბარდირი გახდა და იმ 1999 წელს „ოქროს ბურთიც" ჩაიხუტა.

ბრწყინვალე ფორმაში იყვნენ ბალკანელთა სხვა ლიდერები — ალღოიანი ემილ კოსტადინოვი, ელეგანტური სტილით მოთამაშე იორდან ლეჩკოვი, პასებისა და მძლავრი დარტყმების ოსტატი კრასიმირ ბალაკოვი, მეკარე ბორისლავ მიხაილოვი...

მაშინდელი ბულგარეთი ასაკით ცოტა გადაბერებული, მაგრამ კლასიანი ფეხბურთელებით იყო სავსე.

და, აი, ასეთ მეტოქესთან მოუწია სტუმრად თამაში საქართველოს გამოუცდელ ნაკრებს, ვისაც იმ ციკლში ალექსანდრე ჩივაძე ხელმძღვანელობდა.

რა გვახსოვს იმ მატჩიდან? ის, რომ პირველ ტაიმში ქართველებმა ლამის იქით აჯობეს მუნდიალის ნახევარფინალისტს. სულაც არ იყო წასაგები თამაში. გვახსოვს, ამ თამაშის ჩანაწერი ვნახეთ, სადაც სტოიჩკოვი სულ გამწარებული დასდევდა ზაზა რევიშვილს — ჩვენიანმა მარცხენა ფლანგზე ნავარდი აუკრძალა ბარსელონელს.

მაგრამ მაინც წავაგეთ... გამოვიდა მეორე ტაიმში კოსტადინოვი და ბურთთან პირველივე შეხება გოლით დაასრულა, რასაც ხუთ წუთში მეორეც მოაყოლა. საერთოდ, ამ ფეხბურთელს ამგვარი აფეთქებები და იღბლიანი გასროლები ახასიათებდა — გაიხსენეთ, სწორედ მის მიერ ბოლო წამებზე გატანილმა გოლმა გაიყვანა ბულგარეთი მუნდიალ 94-ზე, რითაც მთელი საფრანგეთი შოკირებული დატოვა.

ერთი რამ ცხადია: ამ მარცხმა საქართველოს ნაკრებს რწმენა შემატა. თურმე, შეგვძლებია გრანდებთან თამაში!

აკი გამოჩნდა კიდეც მომდევნო მატჩებში, შესარჩევის დარჩენილი რვა თამაშიდან ხუთში მოგება ვნახეთ.

ამ ხუთიდან ერთ-ერთი კი სწორედ ბულგარეთთან იყო საგარეო მატჩიდან ერთი წლის თავზე, როცა, საქართველოს უკვე დაკარგული ჰქონდა ჯგუფიდან გასვლის შანსი, ბულგარელებს კი საგზური თითქმის განაღდებული ჰქონდათ.

პენევმა ოპტიმალური შემადგენლობა ჩამოიყვანა, მაშინ, როცა ჩვენებს ლიდერი თემურ ქეცბაია და კაპიტანი კახა ცხადაძე აკლდათ.

ბევრის აზრით, საქართველოს ნაკრებმა იმ დღეს ისტორიაში საუკეთესო მატჩი ჩაატარა — 2:1 მოვიგეთ!

გულშემატკივრები სკამიდან პირველივე წუთზე წამოხტნენ, როცა გოჩა ჯამარაულმა ჭკვიანური პასით შოთა არველაძე მიხაილოვს პირისპირ შეატოვა, ტყუპისცალმა მეკარე მოატყუა და ტაბლოზე 1:0 აინთო.

დრო გადიოდა. სტუმრები კი ჩვენების კომბინაციურ ხლართებში ვერ ერკვეოდნენ, ბალაკოვმა გიორგი ქინქალაძისა და ჯამარაულის ჰწკალიც ვერ ითამაშა, მარჯვნიდან გიორგი ლუდუშაურმა, მარცხნიდან კი კახა გოგიჩაიშვილმა დაიბრიყვეს მეტოქე.

მართალია, თავს წილ ხიფათს ბულგარელებიც ქმნიდნენ, მაგრამ დაიწყო მეორე ტაიმი და გოგიჩაიშვილის ლამაზ გარღვევას პენალტი მოჰყვა, რომელიც ქინქლაძემ ზუსტად შეასრულა — 2:0.

დარჩენილ დროში მესამე გოლამდე ცოტალა დაგვაკლდა, ბოლო წუთებზე კი სტოიჩკოვმა განთქმული ცაციით გაუტანა ირაკლი ზოიძეს.

ჰო, ისიც გვახსოვს, სტუმრები გათანაბრებას რომ ლამობდნენ და ბოლო წამები იყო. ხრისტო-ბატონმა ქართველი ბავშვი ლამის ცემა, ბურთი ჩქარა მომაწოდეო. აშკარად არ ელოდა პენევის სამწყსო თბილისში წაგებას, თამაშამდე სულ ბრექით იყვნენ და ნამატჩევს კიდევ პენევმა დაიჩივლა, პენალტი არ იყო, გოგიჩაიშვილი თავისთვის მირბოდა და წაიქცაო.

ოჰ, როგორ არ ჰგავდა მაშინდელი საქართველოს ნაკრები იმ ნაკრებს, რომელმაც 2005 წლის ნოემბერში „ითამაშა" ბულგარეთში. ითამაშა მართლაც რომ ბრჭყალებში — ექვსი ბურთით დაგვასაჩუქრეს, თანაც, თითქოს დაცინვასავით გამოუვიდათ, სამმა ფეხბურთელმა დუბლი ჩაიწერა. ჯერ პაველ იანკოვმა დაიწყო დუბლაობა, დიმიტარ ბერბატოვმა გააგრძელა და ესტაფეტა სვეტოსლავ ტოდოროვმა დაასრულა.

იმ ექვსი გოლიდან ორი ისეთი იყო, მსოფლიოში ყველა ჩამორჩენილ საფეხბურთო ქვეყანას უნდა ანახო — აი, როგორ არ უნდა ითამაშო ფეხბურთი!

**ილია ნანობაშვილი**

# ამისულაშვილის ოჯახში მატებაა!

**საქართველოს** ნაკრებში არა და არ იძახებენ ნალჩიკის „სპარტაკის“ მცველ ალექსანდრე ამისულაშვილს, რომელსაც რუსეთის ჩემპიონატში ერთ-ერთ საუკეთესო მცველად მიიჩნევენ.

თუ კვიპროსის ნაკრებთან ჩვენების დაცვის თამაშს გავიხსენებთ, მართლაც გაუგებარია, რატომ ხდება ამისულაშვილის იგნორირება.

იმედი გვაქვს, ექტორ რაულ კუპერი მომავალში მაინც დაინტერესდება ამ მცველით.

ახლა კი გვინდა, ალეკო ამისულაშვილზე ერთი სასიამოვნო ამბავი გითხრათ — რამდენიმე დღის წინ ის გოგონას მამა გახდა.

სარბიელელები ვულოცავთ ალეკოს მეორე შვილის შეძენას და ახალშობილს ბედნიერებას ვუსურვებთ!

**ნუგზარი ლოლაძე**


ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნატახტარი და ფეხბურთის ფედერაცია დაძმობილდნენ

**შედეგი** თქვი, თორემ ქართული ფეხბურთის დაფინანსება 10-15 წლის წინანდელთან შედარებით რომ უკეთესია, ამას თქმა რად უნდა. აგერ, გუშინ კომპანია „ნატახტარი“ ოფიციალურად გახდა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სპონსორი.

გუშინ ამ ამბის აღსანიშნავად ეროვნულ სტადიონზე პრესკონფერენცია გაიმართა, რომელზეც ფედერაციის პრეზიდენტმა ნოდარ ახალკაცმა და „ნატახტარის“ გენერალურმა დირექტორმა მეჰმეთ კოჩაკმა 6-წლიან მემორანდუმს მოაწერეს ხელი.

კოჩაკმა „ნატახტარის“ წარმომავლობაზე ისაუბრა და დაამატა, დარწმუნებული ვარ, საქართველოს ნაკრებს მნიშვნელოვანი წარმატებები წინ აქვს და მოხარული ვარ, რომ ამაში ჩვენი წვლილიც იქნება.

„კომპანია „ნატახტარი“ ქართული ფეხბურთის სპონსორი და ქომაგი გახდა. განსაკუთრებული დღეა, თუნდაც იმიტომ, რომ ასეთ თანამშრომლობას ბულგარეთთან მნიშვნელოვანი მატჩის წინ მოეწერა ხელი. ეს არ არის „ნატახტარის“ რიგითი ნაბიჯი, რადგან არა მგონია, კომპანიას მხოლოდ მარკეტინგული ინტერესები ამოძრავებდეს. „ნატახტრის“ ხელმძღვანელებმა იციან, რომ ფეხბურთი ქართველებისთვის ეროვნული ფენომენია. ქართული ფეხბურთი ამჟამად განვითარების საინტერესო საფეხურზე დგას. ჩვენ აუცილებლად ვნახავთ დიდ გამარჯვებებს და მაშინაც მნიშვნელოვანი იქნება ჩვენდამი დახმარება, მაგრამ დახმარება დღეს, განვითარების პროცესში უფრო მნიშვნელოვანია“ — თქვა ახალკაცმა.

„ნატახტარი“ სპონსორობის ფარგლებში ჩვენი ეროვნული ნაკრებისთვის 600 ათას დოლარს გამოყოფს. პლუს, თუ ნაკრები მსოფლიოს ან ევროპის ჩემპიონატზე გავა, კომპანია დამატებით 150 ათასი დოლარით დააფინანსებს.

ისე, აღვნიშნავთ, რომ „ნატახტარმა“ 2007 წელს ბიუჯეტში — 17,5 მილიონი ლარი, ხოლო მიმდინარე წლის პირველ ნახევარში 10 მილიონი ლარი შეიტანა.

პრესკონფერენციას ეროვნული ნაკრების ფეხბურთელები — ზურაბ ხიზანიშვილი, ლევან ყენია და ლევან მჭედლიძეც დაესწრნენ.

მემორანდუმზე ხელის მოწერის შემდეგ კი ჟურნალისტებს გამაგრილებელი სასმელებით გაგვიმასპინძლდნენ და საჩუქრად ფეხბურთის ბურთებიც დაარიგეს, რომელსაც ეროვნული ნაკრების რამდენიმე ფეხბურთელის ავტოგრაფიც ამშვენებდა.

**ილია ნანობაშვილი**

# ჩერნოგორიასთან საქართველო აღარ უნდა განმეორდეს!



**იტალიის** ნაკრების თავკაც მარჩელო ლიპის განცხადებით, მის გუნდს დღეს მხოლოდ მოგება დააკმაყოფილებს.

ჩვენი ჯგუფის ლიდერი „სკუადრა აძურა“ ლეჩეში ჩერნოგორიას უმასპინძლებს და 3 ქულის გარდა სხვა შედეგის გაგონება იტალიელებს ცოცხალი თავით არ სურთ.

„ჩვენ ამ მატჩის მოგება ძალიან გვინდა. თუ გავიმარჯვებთ, ოთხი დღის წინ სოფიაში დაფიქსირებული ფრე კარგ შედეგად ჩაგვეთვლება. ხოლო ვერმოგების შემთხვევაში, ორივე თამაშს წარუმატებლობად მივიღებთ. დღევანდელ ფეხბურთში მეტოქის შეუფასებლობა არ შეიძლება და ჩერნოგორიელებთან მატჩშიც დიდი ძალის დახარჯვა მოგვიწევს. სექტემბერში საქართველოს ნაკრებთან საშინაო შეხვედრა კარგად დავიწყეთ, მაგრამ შემდეგ გარკვეული პრობლემები გვქონდა — ასეთი რამ აღარ უნდა განმეორდეს. დიდი შანსია, ჩერნოგორიელებთან ჯუზეპე როსი სასტარტო შემადგენლობაში მოხვდეს“ — განაცხადა ლიპიმ.

**ბაჩა ზალამბერიძე**

# მეზობლური სპარინგი

**საქართველოს** ეროვნული ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში პაუზაა, თუმცა დასასვენებლად ნაღდად არ სცალიათ „ბორჯომსა“ და „მესხეთს“, რომლებმაც ვარჯიში ჩემპიონატის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე დაიწყეს.

დაკარგულის ასანაზღაურებლად მწვრთნელები ყველაფერს აკეთებენ. მოგეხსენებათ, ეს გუნდები საშინაო მატჩებს ბორჯომში ატარებენ და ამხანაგური შეხვედრაც იქ გამართეს. „მესხეთმა“ მასპინძლებს შანსი არ დაუტოვა და 4:0 გაანადგურა.

ანგარიში მე-14 წუთზე გელა სუდაძემ გახსნა, 32-ეზე კი ბორის გონჩაროვმაც იხეირა.

მეორე ნახევარში შოთა გრიგალაშვილმა დუბლი გააზერხა და თავისიანებს დიდი ანგარიშით მოაგებინა.

გუნდების შემადგენლობები ასეთი იყო:

***ბორჯომი:*** *შეყრილაძე, ქარქუზაშვილი, ზ. ლაცაბიძე, ვაჩიბერიძე, პ. ხორგუაშვილი, ვ. ხორგუაშვილი, ლ. ვაშაკიძე, ავალიანი, გაჩეჩილაძე, კოსტავა, ი. კიკნაძე.*

*შეცვლაზე შევიდნენ: ჯინჭარაძე, ბაქრაძე, გოგიჩაიშვილი, ხითარიშვილი, კილაძე, კობიძე.*

***მესხეთი:*** *სომხიშვილი, რაქვიაშვილი, გ. კვახაძე, ლეკიშვილი, მემარნიშვილი, მ. თაყაძე, სუდაძე, თედიაშვილი, ვ. გოჩაშვილი, სამადაშვილი, გონჩაროვი.*

*შეცვლაზე შევიდნენ: ქოჩორაშვილი, შ. გრიგალაშვილი, ინასარიძე.*

**ნუგზარი ლოლაძე**

# ლეჩკოვმა ბულგარეთს კილომეტრები დაუთვალა

**ბულგარეთის** ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა, ახლო წარსულში ცნობილმა ფეხბურთელმა იორდან ლეჩკოვმა 11 ოქტომბერს სოფიაში იტალიასთან შეხვედრის (0:0) შემდეგ თავისი გუნდი მწარედ გააკრიტიკა...

„ჩემი აზრით, ნაკრების ლიდერები მოედანზე უფრო შესამჩნევნი უნდა იყვნენ. არასერიოზულია, როდესაც დიმიტარ ბერბატოვმა მსოფლიოს ჩემპიონებთან 90 წუთის განმავლობაში მხოლოდ და მხოლოდ ორი კილომეტრი ირბინა; სტილიან პეტროვი ბურთს გამუდმებით მცველებს უბრუნებდა; მარტინ პეტროვი კი საერთოდ მოუმზადებელია“ — განუცხადა ლეჩკოვმა სააგენტო „როიტერს“.

ვნახოთ, რა განწყობაზე იქნება ის დღევანდელი მატჩის შემდეგ...



**ბაჩა ზალამბერიძე**

## geo_geo_fan@hotmail.com

**MEZVRO**: სალამი „სარბიელს“. რა რთულია ეს ცხოვრება...

არ გინდა, ბილეთს რომ რაღაც ნომერი აწერია. ახლა მიდი და ეძიე, ამდენ 50 000 სკამში რომელი ერთია შენი, მოდი რა, სადაც ცარიელს ნახავ, იქ დაჯექი...

არ გინდა, ახლა იდგე მთელი თამაში და წესრიგი დაიცვა, როცა პოლიციელი ხარ. მოდი რა, მზესუმზირა ჭამე შენთვის წყნარად, თან თამაშზეც უფასოდ მოხვდი და უყურე.

არ გინდა ახლა, გადი მოედანზე და მთელი 90 წუთი ირბინე გიჟივით წინ და უკან. მოდი რა, ცოტას გავიქცევი და მერე სხვებმა ირბინონ. მაინც ვერ გავალთ ჯგუფიდან.

მოკლედ, რას ველით?! მაგრად გაგვიმართლა, კვიპროსთან 1:1 რომ ვითამაშეთ...

# ჯიქიას პენალტი, აშვეთიას გოლი

**მახაჩყალის** „ანჟიმ“ მორიგი მარცხი იწვნია რუსეთის პირველ დივიზიონში და ოფიციალურად დაემშვიდობა პრემიერლიგაზე ოცნებას.

დაღესტნელები სტუმრად 2:4 დამარცხდნენ მოსკოვის „ტორპედოსთან“.

არადა, თავიდან იგებდნენ — რევაზ ჯიქიას წაქცევისთვის დანიშნული პენალტი ჟოსანმა გამოიყენა.

მერე მოსკოველებმა ზედიზედ სამი გოლი გაიტანეს, 87-ე წუთზე მიხეილ აშვეთიამ მინიმუმამდე შეამცირა ანგარიში, თუმცა წუთში მასპინძლებმა ისევ იხეირეს და საბოლოოდ 4:2 მოიგეს.

„ანჟიში“ ხუთმა ქართველმა ითამაშა — ვალერი აბრამიძემ და ზურაბ არზიანმა 90-90 წუთი, გოჩა ხოჯავა 29-ე წუთზე შეცვალეს, რევაზ ჯიქია 46-ეზე, ხოლო მიხეილ აშვეთია 58-ე წუთზე შეცვლაზე შევიდა.

**ბაჩა ზალამბერიძე**

საქართველოს პრეფერანსის ფედერაცია აწყობს ეროვნულ ჩემპიონატს, 18-19 ოქტომბერს ჭადრაკის სასახლეში.
რეგისტრაცია იწყება 16 ოქტომბრიდან.
საკონტაქტო ტელეფონი 899 11 14 19

# მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი

I ჯგუფი

## კეირუშმა აფრიკა დაიფიცა



**მალტა — უნგრეთი**
**პორტუგალია — ალბანეთი**

**კარლუშ კეირუში** შესარჩევში პირველი საშინაო მატჩის მოგებას მეორედ ეცდება.

სექტემბერში პორტუგალია დანიასაც უგებდა 2:0-ს, მაგრამ 2:3 წააგო, დღეს კი ალბანეთს ბრაგაში უმასპინძლებენ, რომელიც შაბათს უნგრეთში 0:2 დამარცხდა.

პორტუგალიელები სამი ტურის შემდეგ მესამე ადგილზე არიან, მაგრამ კეირუში დარწმუნებულია, რომ გუნდი ჯგუფიდან გავა.

„სამხრეთ აფრიკაში ჩვენი ნაკრები აუცილებლად ითამაშებს — თქვა მწ;რთნელმა შვედებთან უგოლო ფრის შემდეგ — ამ ფეხბურთელებით ეს სავსებით რეალურია“.

მასპინძლებს კვლავ არ ეყოლებათ დეკუ, მანიშე, რიკარდუ კარვალიუ და სიმაუ საბროსა.

კარლუშ კეირუშს კრიშტიანუ რონალდუს დაბრუნება ახარებს, ვინაც შვედებთან ნაკრებს უკაპიტნა: „რონალდუ დიდებული კაპიტანია. მე გუნდის ლიდერი მჭირდებოდა და ის სამაგალითოა.

ახლა ალბანეთს ვხვდებით და გვსურს, ვაჩვენოთ, რომ ძლიერი ნაკრების შექმნა გვაქვს გადაწყვეტილი, რომელიც კარგ ფეხბურთს ითამაშებს. მიზეზთა გამო, სრული პოტენციალი ჯერ ვერ გამოვავლინეთ“.

ალბანელებს ტრავმირებული ფორვარდი ჰამდი სალიჰი დააკლდებათ.

სტუმართა მწვრთნელმა არი ჰაანმა ადრევე თქვა, რომ მის გუნდს ჯგუფიდან გასვლის შანსი თითქმის არა აქვს. ფავორიტებად პორტუგალია, შვედეთი და დანია დაასახელა.

სამივე მატჩის წამგები, ვერგამტანი და ათი გოლის გამშვები მალტა უნგრეთს დაუხვდება.

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დანია | 3 | 2 | 1 | 0 | 6:2 | 7 |
| შვედეთი | 3 | 1 | 2 | 0 | 2:1 | 5 |
| პორტუგალია | 3 | 1 | 1 | 1 | 6:3 | 4 |
| უნგრეთი | 3 | 1 | 1 | 1 | 3:2 | 4 |
| ალბანეთი | 3 | 1 | 1 | 1 | 3:2 | 4, |
| მალტა | 3 | 0 | 0 | 3 | 0:10 | 0 |

II ჯგუფი

## ბუნდესმოვლილები

**ლატვია — ისრაელი**
**ლუქსემბურგი — მოლდოვა**
**საბერძნეთი — შვეიცარია**

**ჯგუფის** ლიდერი, სამივე მატჩის მომგები და გოლგაუშვებელი საბერძნეთი შვეიცარიას უმასპინძლებს — 70 წლის ოტო რეჰაგელი 59 წლის ოტმარ ჰიცფელდის წინააღმდეგ. ორივე მწვრთნელი ადრე ბუნდესლიგაში ბრწყინვდა.

რეჰაგელს „კაიზერსლაუტერნში“, „ვერდერში“ და „ბაიერნში“ 8 ჯილდო მოუგია, ჰიცფელდს „დორტმუნდში“ და „ბაიერნში“ — 19.

რეჰაგელმა ბერძნები 2004 წელს ევროპის ჩემპიონები გახადა, ხოლო ჰიცფელდისთვის ნაკრები ახალი ხილია.

საბერძნეთმა შაბათს მოლდოვას შინ 3:0 სძლია, შვეიცარიამ კი შესარჩევში პირველი გამარჯვება მიითვალა — 2:1 ათკაცა ლატვიასთან.

ბერძნებს ბოლო ექვს საშიანო მატჩში შვეიცარია ორჯერ ჰყავთ დამარცხებული.

ისრაელმა ლუქსემბურგს სტუმრად 3:1 მოუგო და ჯგუფში მეორე ადგილზეა, მაგრამ დრორ კაშტანს უსახური ფეხბურთის გამო აკრიტიკებენ.

ისრაელის მწვრთნელმა თქვა: „მეც უკმაყოფილო ვარ, მაგრამ მაინც საბოლოო შედეგია მთავარი. რა სჯობს, ლამაზად ითამაშო და წააგო, თუ არცთუ შთამბეჭდავი ფეხბურთით 3 ქულა აიღო? ჟურნალისტების საქმე კრიტიკაა, მაგრამ ამჟამინდელი ნაკრები საუკეთესოდ მიმაჩნია. ტაქტიკურად გამართულია, იციან რა და როგორ აკეთონ.

ლატვია ლუქსემბურგზე ძლიერია. ესტონეთთან და ბერძნებთან მათი თამაშის ჩანაწერები ვნახე და ვიცი, რომ რთული მატჩი გველის“.

მოლდოვა ლუქსემბურგში ჩადის და ქულების გრაფაში ნულის შეცვლას შეეცდება.

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| საბერძნეთი | 3 | 3 | 0 | 0 | 8:0 | 9 |
| ისრაელი | 3 | 2 | 1 | 0 | 7:4 | 7 |
| შვეიცარია | 3 | 1 | 1 | 1 | 5:5 | 4 |
| ლატვია | 3 | 1 | 0 | 2 | 3:5 | 3 |
| ლუქსემბურგი | 3 | 1 | 0 | 2 | 3:7 | 3 |
| მოლდოვა | 3 | 0 | 0 | 3 | 2:7 | 0 |



ოტო რეჰაგელი

III ჯგუფი




## პანიკის გარეშე!

**ჩეხეთი — სლოვენია**
**სლოვაკეთი — პოლონეთი**
**ჩრდ. ირლანდია — სან მარინო**

**ჩეხთა** მწვრთნელი პეტრ რადა წნეხის ქვეშ მოექცა, რაკი მის ნაკრებს ორი ტურის შემდეგ ერთი ქულა და ჯგუფიდან გასვლის გაუარესებული შანსი აქვს.

სტუმრად ჩრდილოეთ ირლანდიასთან ფრეს, პოლონეთში მარცხი მოყვა. რადას გუნდს განსაკუთრებით შეტევაში უჭირს. იან კოლერმა სანაკრებო კარიერა დაასრულა, ტომაშ როსიცკი კი ტრავმის გამო ვერ ეხმარება.

პოლონეთთან მატჩამდე ჩეხური მედია დიდ გულზე იყო, მეტოქის ფეხბურთელთა უმეტესობა თავთავის კლუბში სათადარიგოა და გამარჯვებას ელოდნენ, მაგრამ პოლონელებმა სათადარიგოებითაც კარგად ითამაშეს.

„სამწუხაროდ, ჩემი მოლოდინი არ გამართლდა — თქვა რადამ — გუნდისგან უფრო მეტს ველოდი და ვფიქრობდი, რომ ქულას მაინც ავიღებდით.“

„როცა შენს ტოლ გუნდს ეთამაშები, თხუთმეტი საგოლე მომენტის შექნის იმედი არ უნდა გქონდეს — აღნიშნა ტომას უიფალუშიმ — დასაწყისში ორჯერ შეგვეძლო გატანა და ვერ შევძელით.

ჯერ მხოლოდ ორი მატჩი ვითამაშეთ და საპანიკო არაფერია. კონკურენტებს 3-3 აქვთ ნათამაშები. სლოვენიასთან აუცილებლად უნდა მოვიგოთ, რათა ცოტა მაინც დავმშვიდდეთ“.

ჩეხებს პოლონეთთან მეკარე პეტრ ჩეხი დაუშავდათ და ძირითად შემადგენლობაში მისი გამოჩენა საეჭვოა.

ჩეხებივით ერთქულიანი ჩრდილოეთ ირლანდია სან მარინოსთან ამოისუნთქებს. ბრიტანელებმა სამი მატჩიდან ერთიც ვერ მოიგეს და დღევანდელი მეტოქის ძლევა კი არ უნდა გაუჭირდეთ.

„მომდევნო ორი თამაში სან მარინოსთან გვაქვს, ექვს ქულას ავიღებთ და ცხრილშიც ცოტა დავწინაურდებით — ვინ იფიქრებდა, რომ ჩეხეთს ორ ტურში ქულაზე მეტი არ ექნებოდა? ასე რომ, ბრძოლა და ჯგუფიდან გასვლა შეიძლება“ — განაცხადა ჩრდილოირლანდიელმა კიტ გილესპიმ.

ჯგუფის დაუმარცხებელი ლიდერები ერთმანეთს ბრატისლავაში დაეჯახებიან. ჩეხოსლოვაკიის გაყოფის შემდეგ პლონეთი და სლოვაკეთი ოთხჯერ ეთამაშნენ ერთმანეთს. ორჯერ პოლონელებმა მოიგეს, ერთხელ სლოვაკებმა და ერთიც ფრედ დასრულდა.

ამ მატჩებში ოთხ-ოთხზე ნაკლები გოლი არ გასულა.

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პოლონეთი | 3 | 2 | 1 | 0 | 5:2 | 7 |
| სლოვენია | 3 | 2 | 1 | 0 | 5:2 | 7 |
| სლოვაკეთი | 3 | 2 | 0 | 1 | 6:4 | 6 |
| ჩეხეთი | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | 1 |
| ჩრდ. ირლანდია | 3 | 0 | 1 | 2 | 1:4 | 1 |
| სან მარინო | 2 | 0 | 0 | 2 | 1:5 | 0 |

# მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი

IV ჯგუფი



გერმანია უელსის დასახვედრად ემზადება

## უელსი ჩაჯდება

**რუსეთი — ფინეთი**
**გერმანია — უელსი**

**კევინ კურანის** აჯანყებამ ცოტა არია გერმანელთა ბანაკი და რუსთა ძლევაც ოდნავ დაჩრდილა, მაგრამ იოახიმ ლიოვი მაინც იმედიანადაა.

ბუნდესნაკრების მწვრთნელი დარწმუნებულია, რომ უელსი დაცვაში ჩაჯდება და ქულისთვის იბრძოლებს.

რუსებთან გერმანია პირველ ტაიმში საუცხოო იყო, მეორეში კი ცუდად ითამაშა.

„ჩვენ უნდა გავაანალიზოთ შეცდომები და უელსთან იგივე აღარ გავიმეოროთ — ბრძანა ლიოვმა — ჯონ ტოშაკის გუნდი რუსთა ნაკრებისგან განსხვავებულია. ვფიქრობ, დაცვაში ჩადგებიან და ტაქტიკას კონტრშეტევაზე ააწყობენ. შეეცდებიან, კარში არ დაგვარტყმევინონ და ამიტომ ისეთივე სისწრაფე დაგვჭირდება, როგორიც რუსეთთან პირველ ტაიმში ვაჩვენეთ“.

გერმანელთა კაპიტანმა მიხაელ ბალაკმა შაბათის მატჩში წვივი იტკინა და ორშაბათს ვარჯიში გამოტოვა. დღეს გადაწყდება, ითამაშებს თუ არა უელსთან.

ჯონ ტოშაკი, რომელმაც ლიხტენშტაინთან 21-წლამდელთა ნაკრების ექვსი ფეხბურთელი ათამაშა: „პატარები გულიანად გაისარჯნენ, მაგრამ ახლა, გერმანიასთან მეტი ტვირთი და პასუხისმგებლობა გამოცდილებმა უნდა იკისრონ“ — განაცხადა სტუმართა მწვრთნელმა.

უელსს გერმანიისთვის 15 მატჩში მხოლოდ ორჯერ მოუგია და ერთ მატჩში ერთზე მეტი გოლი არ გაუტანია, მაგრამ ბოლო ორ შესარჩევ შეხვედრაში ამ გუნდების თამაში ფრედ დასრულდა.

1995 წელს დიუსელდორფში (1:1) და შარშან ნოემბერში ფრანკფურტში (0:0), როცა გერმანელებს ევრო 2008-ის საგზური უკვე განაღდებული ჰქონდათ.

შაბათს პენალტით აზერბაიჯანის მძლეველი ფინეთი მოსკოვში რუსეთს ესტუმრება.

ფინელთა მწვრთნელმა სტიუარტ ბაქსტერმა განაცხადა: „ეს მატჩი და კიდევ გასვლაზე გერმანიასთან, შესარჩევში უმნიშვნელოვანესად მიმაჩნია. ჩვენ შინ ქულა ავიღეთ იოახიმ ლიოვის გუნდთან და მოსკოვიდანაც არ გვსურს ხელცარიელი წასვლა“.

გუს ჰიდინკი: „თუ ისე ვითამაშებთ, როგორც დორტმუნდში მეორე ტაიმში, ფინეთს აუცილებლად მოვუგებთ“.

**მაშა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გერმანია | 3 | 2 | 1 | 0 | 11:4 | 7 |
| უელსი | 3 | 2 | 0 | 1 | 4:2 | 6 |
| ფინეთი | 2 | 1 | 1 | 0 | 4:3 | 4 |
| რუსეთი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:3 | 3 |
| აზერბაიჯანი | 3 | 0 | 1 | 2 | 0:2 | 1 |
| ლიხტენშტაინი | 3 | 0 | 1 | 2 | 0:8 | 1 |

V ჯგუფი

## ესპანეთის მშრალი რეკორდი


ფერნანდო ტორესი

**ბოსნია — სომხეთი**
**ესტონეთი — თურქეთი**
**ბელგია — ესპანეთი**

**ევროპის** მოქმედი ჩემპიონი ესპანეთის ნაკრები ბელგიას სტუმრობს და იოლი გასეირნება ნამდვილად არ ექნება. ჯგუფიდან გასვლაზე მასპინძლებიც ფიქრობენ, შესაბამისად, ისინი ყველანაირად ეცდებიან, რომ ქულა მაინც მოიპოვონ. თუმცა პირენეელები შესანიშნავ ფორმაში არიან, სამ მატჩში სამი მოგება აქვთ, რვა გატანილი და არცერთი გაშვებული გოლით.

სხვათა შორის, ესპანეთს, კერძოდ კი იკერ კასილიასს, უკვე 700 წუთზე მეტია, გოლი არ გაუშვია, რაც ნაკრების ახალი რეკორდია. წინა რეკორდი 691 წუთი იყო და ის მიღწევა 1992-1993 წლებში დაფიქსირდა.

„ვილიარეალის“ საყრდენი ნახევარმცველი მარკოს სენა შეძლებს თამაშს, ანუ ალბათ ძირითად შემადგენლობას დაუბრუნდება ხაბი ალონსოს ნაცვლად.

ცვლილებები იქნება ბელგიელთა შემადგენლობაშიც. მაგალითად, „აიაქსის“ მცველი ტომას ვერმალენი რენე ვანდერეიკენმა სომხეთთან სპეციალურად არ ათამაშა, რათა მას ყვითელი ბარათი არ მიეღო და დისკვალიფიკაციის გამო ესპანეთთან შეხვედრა არ გამოეტოვებინა.

„ახლა ბრწყინვალე პერიოდი გვიდგას, მოგებების გზაზე ვდგავართ და ამით უნდა ვისარგებლოდ. შესარჩევი ეტაპის დასაწყისში რაც შეიძლება მეტი ქულა უნდა მოვიპოვოთ, რათა მომავალში შესაძლო პრობლემები თავიდან ავირიდოთ“ — თქვა 57 წლის დელ ბოსკემ.

რენე ვანდერეიკენი: „ესპანეთთან აბსოლუტურად განსხვავებული თამაში გველის. ცხადია, ცვლილებები იქნება. პირველ რიგში, იმიტომ, რომ ეს სულ სხვაგვარი, გაცილებით რთული და შემტევი მეტოქეა. და მეორე: ყველა ფეხბურთელს ზედიზედ ორი მატჩის უმაღლეს დონეზე ჩატარება არ შეუძლია“.

თურქეთმა ბელგიისა და ესპანეთის ურთიერთშეხვედრით უნდა ისარგებლოს და სტუმრად აუცილებლად უნდა მოუგოს ესტონეთს. თუმცა ეს სათქმელად ბევრად უფრო იოლია, ვიდრე შესასრულებლად. ესტონელებმა შაბათს პირენეელებთან 0:3 კი წააგეს, მაგრამ ცუდად არ უთამაშიათ და მომენტები რომ გამოეყენებინათ, სულ სხვა ანგარიში დაფიქსირდებოდა.

ჯგუფიდან გასვლის მცირე შანსი ბოსნიასაც შერჩა, რომელიც თურქეთთან დრამატული საგარეო მარცხის მერე, ჯერჯერობით ძალიან უსახურ სომხეთს მასპინძლობს და, წესით, უპრობლემოდ უნდა მოიგოს.

**გიორგი ძაძამაძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ესპანეთი | 3 | 3 | 0 | 0 | 8:0 | 9 |
| ბელგია | 3 | 2 | 1 | 0 | 6:3 | 7 |
| თურქეთი | 3 | 2 | 1 | 0 | 5:2 | 7 |
| ბოსნია | 3 | 1 | 0 | 2 | 8:3 | 3 |
| სომხეთი | 3 | 0 | 0 | 3 | 0:8 | 0 |
| ესტონეთი | 3 | 0 | 0 | 3 | 2:13 | 0 |

VI ჯგუფი

## ჰესკი რუნის გასაძლიერებლად

**ხორვატია — ანდორა**
**ბელარუსი — ინგლისი**

**ფაბიო კაპელო** და მისი ინგლისი ჯგუფს დამაჯერებლად ლიდერობენ და ბელარუსთან საგარეო მატჩშიც მხოლოდ მოგებაზე ფიქრობენ. თუმცა იტალიელ სპეციალისტს დაცვაში არცთუ სახუმარო თავსატეხი გაუჩნდა, რადგან უმაღლესი კლასის ორი ფეხბურთელი ჯონ ტერი და ეშლი კოული ვერ ითამაშებენ.

მიუხედავად ამისა, გამოცდილი ტაქტიკოსი ოპტიმისტურადაა განწყობილი და აქცენტს თავდასხმაზე აკეთებს. მისი აზრით, უეინ რუნისა და ემილ ჰესკის შემტევი წყვილი წარმატების საწინდარია.

ჰესკის ნაკრებში ჩატარებულ ბოლო 16 მატჩში, ან, თუ გნებავთ, ხუთნახევარ წელზე მეტია, გოლი არ გაუტანია. თუმცა „უიგანის“ თავდამსხმელის მიმართ მეტოქის მცველების საგანგებო ყურადღება, გზას უხსნის ჩინებულ ფორმაში მყოფ რუნის, რომელმაც „მანჩესტერ იუნაიტედის“ მაისურით ბოლო ოთხ მატჩში იხეირა და შაბათს ყაზახეთსაც გაუტანა 2 ბურთი (სულ ნაკრებში — 47 მატჩი და 17 გოლი).

„რუნი ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია. ჰესკი კი მისთვისაა მნიშვნელოვანი. მცველები ყოველთვის ემილისკენ გარბიან, ეს კი უეინს სივრცეს აძლევს, რითაც იგი ჩინებულად სარგებლობს“ — თქვა კაპელომ.

ინგლისელთა მცველი რიო ფერდინანდი: „რაც შეიძლება, ბევრი ქულა უნდა ავიღოთ, და რაც შეიძლება მალე. ბელარუსში აუცილებლად უნდა მოვიგოთ და იმედია, ასეც იქნება, ჩვენ თავს არ დავზოგავთ“.

რაც შეეხება ბელარუსებს, დიდი შანსია, მათ თავიანთი საუკეთესო ფეხბურთელის, ალექსანდრ გლების გარეშე მოუხდეთ თამაში. ბარსელონელს ტრავმა აწუხებს და მინდორზე მისი გასვლის საკითხი სერიოზულ ეჭვქვეშ დგას. დაშავებულია ბატე-ს ფორვარდი ვიტალი როდიონოვიც.

ბელარუსის ნაკრების მწვრთნელი ბერნდ შტანგე: „ბიჭებთან სათქმელი ბევრი არაფერი მექნება, ინგლისს ვეთამაშებით და ეს თავისთავად დიდი მოტივაციაა. ვფიქრობ, ისინი მინდორზე გავლენ იმ შეგრძნებით, რომ არაფერი აქვთ დასაკარგი და უშიშრად ითამაშებენ“.

ჯგუფის მეორე მატჩზე სათქმელი ფაქტობრივად არაფერია. ხორვატები, რომლებმაც შესარჩევი ეტაპი ცუდად დაიწყეს, ზაგრებში აშკარა აუტსაიდერ ანდორას მასპინძლობენ და აუცილებლად უნდა მოიგონ. ძნელად წარმოსადგენია, რომ ასე არ მოხდეს, ამისთვის სლავენ ბილიჩის შეგირდებმა ძალიან უნდა მოინდომონ...

**გიორგი ძაძამაძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ინგლისი | 3 | 3 | 0 | 0 | 11:2 | 9 |
| უკრაინა | 3 | 2 | 1 | 0 | 4:1 | 7 |
| ხორვატია | 3 | 1 | 1 | 1 | 4:4 | 4 |
| ბელარუსი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:2 | 3 |
| ყაზახეთი | 4 | 1 | 0 | 3 | 5:11 | 3 |
| ანდორა | 3 | 0 | 0 | 3 | 1:8 | 0 |


ფაბიო კაპელო

# მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი

VII ჯგუფი



ნიკოლა ჟიგიჩმა ლიტვას გაუტანა და იგივეს ვენაშიც შეეცდება

## სერბეთმა ანტიჩი დააჯერა

**ლიტვა — ფარერები**
**ავსტრია — სერბეთი**

**მიჯრით** ორი მატჩის მოგებისა და ჯგუფში მოულოდნელად გალიდერების მერე, ლიტვა სტუმრად სერბეთთან განადგურდა. თუმცა ჟოზე კოუსეირუს შეგირდებს მორიგი სამი ქულის მოპოვებისა და ლიდერობის დაბრუნების კარგი შანსი აქვთ, ისინი ჯგუფის აუტსაიდერ ფარერებს მასპინძლობენ.

აუტსაიდერები ვეძახოთ და შაბათს ფარერებმა საკუთარი სტადიონიდან კარელ ბრიუკნერის ავსტრიას მხოლოდ ქულა გაატანეს. ასე რომ, ლიტველები ყურადღებით უნდა იყვნენ და კოუსეირუც სწორედ ამას ამბობს.

„ყველა მეტოქეს პატივს ვცემთ და კონცენტრაცია ოდნავადაც არ უნდა დავკარგოთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ვერაფერს მივაღწევთ" — განაცხადა კოუსეირუმ.

საინტერესო მატჩი იქნება ვენაში, სადაც ავსტრია სერბეთს მასპინძლობს. ჯგუფიდან გასვლის ამბიცია ორივე ნაკრებს აქვს და თუ რაოდენ მნიშვნელოვანი შეიძლება გამოდგეს ამ მატჩის შედეგი საბოლოოდ, ცხრილს თუ დახედავთ, იოლად მიხვდებით.

ავსტრიამ საფრანგეთთან სენსაციური მოგებით კი დაიწყო, მაგრამ მერე ლიტვასთან დამარცხდა და ამას ფარერებთან მოულოდნელი ფრე მოჰყვა. ასე რომ, მასპინძლებმა მხოლოდ სამ ქულაზე უნდა იფიქრონ.

სერბები კი ამჟამად სულაც ჯგუფის ლიდერებად გვევლინებიან, მათ ბურთების ლიტველებზე უკეთესი შეფარდება აქვთ და, სავარაუდოდ, თუ ვენაში ქულას მაინც მოიპოვებენ, დიდად უკმაყოფილონი არც ამით იქნებიან.

საინტერესო იქნება ორი გამოცდილი მწვრთნელის, ბრიუკნერისა და რადომირ ანტიჩის დუელი.

„საკუთარი თავი შევცვალეთ. მხოლოდ დამაჯერებელმა ანგარიშმა (3:0-მა) კი არ გამახარა, ლიტვასთან ბრწყინვალედ ვითამაშეთ, აბსოლუტურად სხვანაირ სტილში. როცა ასე თამაშობ, საკუთარი იდეების თავისუფლად განხორციელების საშუალებაც გაქვს, ეს კი ბევრს ნიშნავს. ასეთი სერბეთი მაჯერებს, რომ ჩვენ შეგვიძლია, დიდი გუნდი გავხდეთ" — თქვა ანტიჩმა.

**კოკი კანდელაკი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სერბეთი | 3 | 2 | 0 | 1 | 6:2 | 6 |
| ლიტვა | 3 | 2 | 0 | 1 | 5:3 | 6 |
| ავსტრია | 3 | 1 | 1 | 1 | 4:4 | 4 |
| საფრანგეთი | 3 | 1 | 1 | 1 | 5:6 | 4 |
| რუმინეთი | 3 | 1 | 1 | 1 | 3:5 | 4 |
| ფარერები | 3 | 0 | 1 | 2 | 1:4 | 1 |

IX ჯგუფი

## ჰარეიდეს ნარინჯისფერი ფიქრები

**ნორვეგია — ჰოლანდია**
**ისლანდია — მაკედონია**

**ნორვეგიას** ორი მატჩის მერე ორი ფრე აქვს, რაც არცთუ კარგი შედეგია, მაგრამ ვინძლო, სკანდინაველები დიდი სიამოვნებით დათანხმდებოდნენ, სამი მატჩის მერე მესამე ფრეც ჰქონოდათ, რადგან მათი სტუმარი ჰოლანდიის ნაკრებია. თუმცა ეს იმას სულაც არ ნიშნავს, რომ „ნარინჯისფერები" ამ შეხვედრაში აშკარა ფავორიტები არიან, ან იმას, რომ აგე ჰარეიდეს შეგირდები მოგებას ფიქრადაც არ გაივლებენ და არ იბრძოლებენ.

უესლი სნეიდერი ისევ ბერტ ვან მარვაიკის განკარგულებაშია. მადრიდის „რეალის" თავდამსხმელმა ტრავმა რამდენიმე დღის წინ მოიშუშა, მაგრამ მწვრთნელმა ისლანდიასთან მაინც არ ათამაშა, ზედმეტი რისკის თავიდან ასაცილებლად. სავარაუდოდ, სნეიდერი შეცვლაზე შევა მინდორზე.

აი, ჯონ ჰეიტინგასა და ნაიჯელ დე იონგს ტრავმები აწუხებთ და ამ შეხვედრის გამოტოვება მოუწევთ.

„სნეიდერს ორი თვეა, არ უთამაშია და ამას გავითვალისწინებ. თუმცა, იქნება თუ არა იგი ძირითადში, ჩემი გადასაწყვეტია და „რეალი" ან მისი ექიმები აქ არაფერშუაში არიან" — აღნიშნა ვან მარვაიკმა.

აგე ჰარეიდე: „არაფრის და არავის გვეშინია. მიუხედავად იმისა, რომ ჰოლანდიას ვეთამაშებით, თუ ჭკვიანურად ვიმოქმედებთ, სწორ ტაქტიკას ავირჩევთ და ვიბრძოლებთ, გავიმარჯვებთ კიდეც. ორი ფრის შემდეგ, მეორე ადგილზე გასვლის შანსი არ დაგვიკარგავს, მაგრამ ახლა მოგებაა ჰაერივით გვჭირდება".

ჯგუფის მეორე მატჩში ისლანდია მაკედონიას დაუხვდება და თუ მასპინძლებს სურთ, რომ მსოფლიოს 2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე მოხვედრის თუნდაც მიზერული შანსი შეინარჩუნონ, აუცილებლად უნდა იმარჯვონ. პოტენციურად მეორე ადგილზე მყოფ მაკედონიას კი სულ სხვა გეგმები აქვს და თუ ვისი აჯობებს, ეს რეიკიავიკში გამოჩნდება.

**კოკი კანდელაკი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰოლანდია | 2 | 2 | 0 | 0 | 4:1 | 6 |
| შოტლანდია | 3 | 1 | 1 | 1 | 2:2 | 4 |
| მაკედონია | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 3 |
| ნორვეგია | 2 | 0 | 2 | 0 | 2:2 | 2 |
| ისლანდია | 3 | 0 | 1 | 2 | 3:6 | 1 |



ანდრე ოიერი, დირკ კუიტი და რაფაელ ვან დერ ვაარტი

|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11001 | რუსეთი-ფინეთი | 1.65 | 15.00 | 30.00 | 3.50 | 5.00 | 11.00 | 20.00 | 11.00 | 11.00 |
| 11003 | ჩეხეთი-სლოვენია | 1.70 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 5.00 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11005 | ლატვია-ისრაელი | 4.80 | 10.00 | 20.00 | 5.60 | 4.40 | 4.20 | 20.00 | 10.00 | 3.30 |
| 11008 | ნორვეგია-ჰოლანდია | 5.30 | 10.00 | 20.00 | 6.00 | 4.40 | 4.00 | 20.00 | 10.00 | 3.00 |
| 11009 | მალტა-უნგრეთი | 8.00 | 10.00 | 20.00 | 9.00 | 4.80 | 3.50 | 20.00 | 10.00 | 2.20 |
| 11010 | ისლანდია-მაკედონია | 3.50 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.30 | 20.00 | 10.00 | 4.40 |
| 11011 | ლუქსემბურგი-მოლდოვა | 7.00 | 10.00 | 20.00 | 7.50 | 4.40 | 3.50 | 20.00 | 10.00 | 2.50 |
| 11012 | ბოსნია-სომხეთი | 1.85 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 4.60 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11016 | სლოვაკეთი-პოლონეთი | 3.60 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.80 | 20.00 | 10.00 | 4.00 |
| 11017 | ავსტრია-სერბეთი | 4.00 | 10.00 | 20.00 | 4.80 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.60 |
| 11018 | საბერძნეთი-შვეიცარია | 2.30 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 7.00 |
| 11019 | ესტონეთი-თურქეთი | 8.00 | 10.00 | 20.00 | 9.00 | 4.80 | 3.50 | 20.00 | 10.00 | 2.20 |
| 11021 | ბელარუსი-ინგლისი | 12.00 | 10.00 | 20.00 | 9.00 | 4.80 | 3.50 | 20.00 | 10.00 | 1.65 |
| 11025 | ირლანდია-კვიპროსი | 1.70 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 5.00 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11029 | ბელგია-ესპანეთი | 7.00 | 10.00 | 20.00 | 7.50 | 4.40 | 3.50 | 20.00 | 10.00 | 2.50 |
| 11030 | იტალია-ჩერნოგორია | 1.55 | 15.00 | 30.00 | 3.40 | 4.80 | 12.00 | 20.00 | 11.00 | 11.00 |

### რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15005 | ლატვია-ისრაელი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15008 | ნორვეგია-ჰოლანდია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15009 | მალტა-უნგრეთი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15010 | ისლანდია-მაკედონია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15011 | ლუქსემბურგი-მოლდოვა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15012 | ბოსნია-სომხეთი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15016 | სლოვაკეთი-პოლონეთი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15017 | ავსტრია-სერბეთი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15018 | საბერძნეთი-შვეიცარია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15019. | ესტონეთი-თურქეთი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15021 | ბელარუსი-ინგლისი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15025 | ირლანდია-კვიპროსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15029 | ბელგია-ესპანეთი | 3.00 | 2.80 | 2.00 |

### ფრეს გარეშე (ძირითადი დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16001 | რუსეთი-ფინეთი | 1.08 | 5.00 |
| 16003 | ჩეხეთი-სლოვენია | 1.10 | 5.50 |
| 16005 | ლატვია-ისრაელი | 2.30 | 1.45 |
| 16008 | ნორვეგია-ჰოლანდია | 2.90 | 1.32 |
| 16009 | მალტა-უნგრეთი | 3.60 | 1.23 |
| 16010 | ისლანდია-მაკედონია | 1.65 | 2.05 |
| 16011 | ლუქსემბურგი-მოლდოვა | 3.00 | 1.30 |
| 16012 | ბოსნია-სომხეთი | 1.11 | 5.70 |
| 16016 | სლოვაკეთი-პოლონეთი | 1.80 | 1.85 |
| 16017 | ავსტრია-სერბეთი | 1.85 | 1.80 |
| 16018 | საბერძნეთი-შვეიცარია | 1.23 | 3.60 |
| 16019 | ესტონეთი-თურქეთი | 4.10 | 1.17 |
| 16021 | ბელარუსი-ინგლისი | 5.80 | 1.08 |
| 16025 | ირლანდია-კვიპროსი | 1.10 | 5.50 |
| 16029 | ბელგია-ესპანეთი | 3.00 | 1.30 |
| 16030 | იტალია-ჩერნოგორია | 1.02 | 6.70 |

### რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14001 | რუსეთი-ფინეთი | 1.08 | 2.90 |
| 14003 | ჩეხეთი-სლოვენია | 1.20 | 2.60 |
| 14005 | ლატვია-ისრაელი | 2.10 | 1.75 |
| 14008 | ნორვეგია-ჰოლანდია | 2.30 | 1.65 |
| 14009 | მალტა-უნგრეთი | 2.50 | 1.30 |
| 14010 | ისლანდია-მაკედონია | 1.80 | 2.00 |
| 14011 | ლუქსემბურგი-მოლდოვა | 2.40 | 1.45 |
| 14012 | ბოსნია-სომხეთი | 1.20 | 2.60 |
| 14016 | სლოვაკეთი-პოლონეთი | 1.85 | 1.95 |
| 14017 | ავსტრია-სერბეთი | 1.95 | 1.85 |
| 14018 | საბერძნეთი-შვეიცარია | 1.45 | 2.40 |
| 14019 | ესტონეთი-თურქეთი | 2.50 | 1.30 |
| 14021 | ბელარუსი-ინგლისი | 2.90 | 1.08 |
| 14025 | ირლანდია-კვიპროსი | 1.20 | 2.60 |
| 14029 | ბელგია-ესპანეთი | 2.40 | 1.45 |

### რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო)
### (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | | ნაკ. | მეტ. | 5და მეტ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12001 | რუსეთი-ფინეთი | 2,5 | 1.90 | 1.70 | |
| 12003 | ჩეხეთი-სლოვენია | 2,5 | 1.80 | 1.80 | |
| 12005 | ლატვია-ისრაელი | 2,5 | 1.60 | 2.00 | |
| 12008 | ნორვეგია-ჰოლანდია | 2,5 | 1.60 | 2.00 | |
| 12009 | მალტა-უნგრეთი | 2,5 | 2.10 | 1.55 | |
| 12010 | ისლანდია-მაკედონია | 2,5 | 1.60 | 2.00 | 6.00 |
| 12011 | ლუქსემბურგი-მოლდოვა | 2,5 | 1.80 | 1.80 | 5.00 |
| 12012 | ბოსნია-სომხეთი | 2,5 | 1.70 | 1.90 | 5.25 |
| 12016 | სლოვაკეთი-პოლონეთი | 2,5 | 1.60 | 2.10 | 6.00 |
| 12017 | ავსტრია-სერბეთი | 2,5 | 1.60 | 2.10 | 6.00 |
| 12018 | საბერძნეთი-შვეიცარია | 2,5 | 1.60 | 2.10 | 6.00 |
| 12019 | ესტონეთი-თურქეთი | 2,5 | 1.80 | 1.70 | 5.00 |
| 12021 | ბელარუსი-ინგლისი | 2,5 | 1.90 | 1.70 | 5.00 |
| 12025 | ირლანდია-კვიპროსი | 2,5 | 1.70 | 1.90 | 5.25 |
| 12029 | ბელგია-ესპანეთი | 2,5 | 1.70 | 1.90 | 5.25 |
| 12030 | იტალია-ჩერნოგორია | 2,5 | 2.00 | 1.60 | 5.00 |

### გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 13001 | რუსეთი-ფინეთი | 1.90 | 1.60 |
| 13003 | ჩეხეთი-სლოვენია | 1.90 | 1.70 |
| 13005 | ლატვია-ისრაელი | 1.70 | 1.90 |
| 13008 | ნორვეგია-ჰოლანდია | 1.70 | 1.90 |
| 13009 | მალტა-უნგრეთი | 1.90 | 1.70 |
| 13010 | ისლანდია-მაკედონია | 1.70 | 1.90 |
| 13011 | ლუქსემბურგი-მოლდოვა | 1.70 | 1.90 |
| 13012 | ბოსნია-სომხეთი | 1.90 | 1.70 |
| 13016 | სლოვაკეთი-პოლონეთი | 1.70 | 1.90 |
| 13017 | ავსტრია-სერბეთი | 1.70 | 1.90 |
| 13018 | საბერძნეთი-შვეიცარია | 1.70 | 1.90 |
| 13019 | ესტონეთი-თურქეთი | 1.80 | 1.70 |
| 13021 | ბელარუსი-ინგლისი | 1.90 | 1.60 |
| 13025 | ირლანდია-კვიპროსი | 1.90 | 1.60 |
| 13029 | ბელგია-ესპანეთი | 1.70 | 1.90 |
| 13030 | იტალია-ჩერნოგორია | 1.90 | 1.60 |

### გოლი:წყვილი-1თუ კენტი-2 (0:0 ითვლება წყვილად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 17001 | რუსეთი-ფინეთი | 1.85 | 1.95 |
| 17003 | ჩეხეთი-სლოვენია | 1.85 | 1.95 |
| 17005 | ლატვია-ისრაელი | 1.85 | 1.95 |
| 17008 | ნორვეგია-ჰოლანდია | 1.85 | 1.95 |
| 17009 | მალტა-უნგრეთი | 1.85 | 1.95 |
| 17010 | ისლანდია-მაკედონია | 1.85 | 1.95 |
| 17011 | ლუქსემბურგი-მოლდოვა | 1.85 | 1.95 |
| 17012 | ბოსნია-ხომხეთი | 1.85 | 1.95 |
| 17016 | ხლოვაკეთი-პოლონეთი | 1.85 | 1.95 |
| 17017 | ავსტრია-ხერბეთი | 1.85 | 1.95 |
| 17018 | საბერძნეთი-შვეიცარია | 1.85 | 1.95 |
| 17019 | ესტონეთი-თურქეთი | 1.85 | 1.95 |
| 17021 | ბელარუსი-ინგლისი | 1.85 | 1.95 |
| 17025 | ირლანდია-კვიპროსი | 1.85 | 1.95 |
| 17029 | ბელგია-ესპანეთი | 1.85 | 1.95 |
| 17030 | იტალია-ჩერნოგორია | 1.85 | 1.95 |



ეროვნული ბიბლიოთეკა

# დაუცველი და უპასუხისმგებლო

## ენერჯი-ინვესტი კიევში გაისეირნებს

რუსთავის „ენერჯი ინვესტისთვის“ ევროპული ამბიცია ერთ ტაიმში ამოიწურა, ინტრიგა კი ერთ თამაშში ჩაეტია. შინ 29 ქულით მარცხი და უკრაინის დედაქალაქ კიევში ვინ იცის რამდენით წასაგებად ჩასვლის უემური პერსპექტივა — აი, ეს გამოჩნდა გუშინ სპორტის სასახლეში ჩატარებულ მატჩში, რომელსაც აკლდა სპორტული დრამატიზმი, მარილი, მაყურებელი და თუნდაც მოცეკვავე გოგონები, მოკლედ ყველაფერი.

რუსთაველებმა ზედიზედ მეორედ გარისკეს ევროტურნირებზე თამაში და ეს რისკი ამ ჯერზე შეამაგრეს საგანგებოდ დამატებული სამი ლეგიონერით. სერბი ვუკადინოვიჩი კარგი იყო, ყოველ შემთხვევაში შეტევაში მაინც. რადოიჩიჩს 24 წუთში ნამდვილად არაფერი გაუკეთებია ისეთი, რასაც ვერ შეძლებდნენ „ენერჯის“ უთამაშებელი სათადარიგოები ჭოჭუა, დიდია, ცეკვავა... აი, ამერიკელი პოლ მაკპერსონი კი ნეტა საიდან მოხვდა ამ გაუგებრობაში? კაცს ნათამაშები აქვს ნბა-ში, ლეგენდარულ „ჰარლემ გლობტროტერზში“, კიდევ ვინც იცის სად და ვერისბალელი ტერმინი რომ ვიხმაროთ, აშკარად კალათბურთის „აზრზეა“, მაგრამ მონდომებით და შრომისმოყვარეობით ვერ გაგვაკვირვა და მასში კაციშვილი ვერ ამოიცნობდა ნამდვილ სპორტსმენს, მიუხედავად არცთუ ურიგო სტატისტიკისა. დამძიმებული, ზანტი, თავდაზოგილი, ეკონომიური, გულამოვარდნილი და ბოლოს სულ დამდგარი... რუსთავული გუნდის მწვრთნელი დავით უსტიაშვილი გასაგებ მიზეზთა გამო იძულებული იყო აი, ასეთი ვარსკვლავი 33 წუთით ჰყოლოდა მოედანზე და ეს ამ თამაშის ასე უბოდიშოდ წაგების ერთი დიდი მიზეზია. არა მგონია, რუსთავულ გუნდს ასე წაეგო, თუნდაც ჩვენს სუპერლიგაში . ამორჩეული ქართველებით რომ ეთამაშა.

რუსთავული გუნდი იყო აშკარად შეუთამაშებელი, დაცვაში კი ნული, განსაკუთრებით უკრაინელთა სწრაფი შეტევებისას, როდესაც ელემენტარულად, საჭირო იყო დამცველთა სწრაფად გადმოსვლა საკუთარ ნახევარზე. ჩვენი გამრჯე მოწინააღმდეგე ხშირად ახერხებდა რუსთავული კალათის და ერთიორი დამცველის პირისპირ სამიოთხი მოიერიშის დატოვებას, შედეგად კი სხვაობა ნელა, მაგრამ განუხრელად იზრდებოდა და აგერ, რამდენს მიაღწია ბოლოს.

და რა საშინელებები ხდებოდა, „ენერჯის“ ფარზე? საკუთარ სამწამიანში ასხლეტილი ბურთისთვის ბრძოლისას რიცხობრივი უპირატესობა მაინც შეექმნათ? მაგრამ სად იყო პასუხისმგებლობა და ჯიგარი... ალბათ რუსთავის „ხიმკებზე“ დარჩა გულმხურვალე ქომაგებთან ერთად, რომლებიც შინაურ მეტოქეს ჭერს თავზე ჩამოამხობენ, გარეულს კი ერთხელ ტაშიც შეახვედრეს მოხდენილი ილეთისთვის. მასპინძელთაგან ყველაზე მეტი მოხსნა მათმა ერთადერთმა ცენტრმა დავით უგრეხელიძემ მოაგროვა, მაგრამ საკუთარ ფარზე მას მხოლოდ ორი ჰქონდა. რუსთაველთაგან დაცვაში სამზე მეტიც კი არავის მოუხსნია. რაღა „ენერჯის“ სამწამიანი და რაღა სასეირნო სკვერი. ყველაზე გულდასაწყვეტი კი ისაა, რომ სრული დაუცველობა განსაკუთრებით პირველ ტაიმში იგრძნობოდა (15-23 დათმეს ფარი), როცა სხვაობა კატასტროფული კი არა, ადვილად აღმოსაფხვრადაც კი ჩანდა, მაგრამ მასპინძლებს თითქოს საამისოდ დაცვაში მუშაობაც კი ეზარებოდათ. უკრაინელები, რა შეგვარჩენდნენ თუ?!

„ენერჯიმ“ ორჯერ მოახერხა დაწინაურება. პირველად 0:0 ანგარიშზე ვუკადინოვიჩმა რომ ჩააგდო ორიანი და მეორედ პირველი ნახევრის შუაწელს მანვე ორიანითვე 17:15 რომ დააწინაურა მასპინძლები. ეს იყო და ეს. უკრაინელებმა, რომლებმაც 40 წუთში მოედანზე მხოლოდ სამი ნამდვილი უკრაინელი გამოაჩინეს, პირველი მეოთხედის ბოლო წუთებზე გარკვეული უპირატესობა შეიქმნეს და მთელი თამაში ხელიდან აღარც გაუშვიათ. მეორე მეოთხედი რომ დაიწყო, მასპინძლები 27:29 მიუახლოვდნენ მეტოქეს, მაგრამ სტუმრებმა ზედიზედ ექვსი ქულა გააკეთეს და მერეც, როცა „ენერჯი“ ასე თუ ისე ნაკლებშეურაცხმყოფელი სხვაობით ახერხებდა მიახლოებას, „სუმიხიმპრომი“ ყოველთვის იოლად პოულობდა კონტრარგუმენტებს შეტევაში და გასაკვირიც არაფერია, 110 ქულა რომ დააგროვა. მრავალი ზანგის ყოლის მიუხედავად ეს იყო საშუალოზე საშუალო გუნდი, რომელიც ევროპაში კი არა, უკრაინაში ვერ ეთამაშება მწვერვალებს, მაგრამ დაუზარლად მუშაობდა და ჩვენი ახალი ზანგისგან განსხვავებით (ტუჯანიძე რა დააჩავა) მათი ზანგები ნამდვილად ბოლომდე იხარჯებოდნენ სტაბილური უკრაინული ხელფასის გასამართლებლად.

რა ელის „ენერჯი ინვესტს“ განმეორებით მატჩში? გუნდი შეთამაშდება, დაცვას მოუჭერს და 30 ქულით მოიგებს? ილუზიაა და მეტი არაფერი. ყველაზე კარგი ალბათ ის იქნება, უსტიაშვილმა ცოტა მეტი ხნით ათამაშოს გამყრელიძე-ტულუშის დუეტი, თუნდაც საშუალო ევროპული პრაქტიკის ხათრით, სამომავლოდ, სანაკრებოდ...

**ირაკლი ფირაშვილი**

ფიბა-ევროპის თასი. პირველი წრე, პირველი მატჩი. 14 ოქტომბერი. სპორტის სასახლე. 18.15 საათი

## ენერჯი-ინვესტი 81:110 სუმიხიმპრომი

საქართველო 25:29 21:24 19:25 16:32 უკრაინა

### ენერჯი

| | წთ | 2ქ | 3ქ | საჯ | მოხ | პას | ჩაჭ | დაფ | ფოლ | დაკ | ქულ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ლაშა გამყრელიძე | 32 | 1-5 | 0-2 | 0-2 | 4 | 9 | 2 | 0 | 2 | 4 | 2 |
| ნიკოლა რადოიჩიჩი | 24 | 1-5 | 0-4 | 0-0 | 4 | 2 | 2 | 0 | 4 | 0 | 2 |
| პოლ მაკფერსონი | 33 | 5-11 | 1-3 | 5-5 | 4 | 3 | 1 | 0 | 1 | 2 | 18 |
| ბოიან ვუკადინოვიჩი | 34 | 8-10 | 1-4 | 4-4 | 4 | 3 | 1 | 0 | 4 | 2 | 23 |
| დავით უგრეხელიძე | 29 | 6-10 | 0-0 | 3-4 | 8 | 0 | 0 | 2 | 1 | 0 | 15 |
| კოტე ტულუში | 21 | 1-3 | 1-3 | 7-8 | 3 | 2 | 0 | 0 | 3 | 1 | 12 |
| ჟოლივეტ ტუჯანი | 11 | 0-2 | 0-0 | 7-8 | 3 | 1 | 0 | 0 | 2 | 2 | 7 |
| ბესიკ ლეჟავა | 10 | 1-2 | 0-2 | 0-0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 1 | 2 |
| ზვიად ბაბიაშვილი | 6 | 0-1 | 0-0 | 0-0 | 1 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 |
| სულ | 200 | 23-49 | 3-18 | 26-31 | 31 | 20 | 6 | 2 | 19 | 12 | 81 |

### სუმიხიმპრომი

| | წთ | 2ქ | 3ქ | საჯ | მოხ | პას | ჩაჭ | დაფ | ფოლ | დაკ | ქულ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| კორი სანტე | 32 | 3-5 | 2-6 | 0-0 | 2 | 6 | 0 | 0 | 2 | 4 | 12 |
| ბრაიან გრინი | 36 | 8-9 | 1-2 | 3-3 | 6 | 6 | 3 | 3 | 3 | 3 | 22 |
| ევგენი პოდორვანი | 21 | 2-2 | 1-7 | 2-2 | 2 | 0 | 0 | 1 | 1 | 0 | 9 |
| ვადიმ მატიუკევიჩი | 22 | 4-8 | 0-0 | 5-5 | 4 | 0 | 0 | 2 | 5 | 2 | 13 |
| აბდულაჰი კუსო | 27 | 7-12 | 0-0 | 0-0 | 11 | 2 | 2 | 0 | 4 | 3 | 14 |
| ოსვალდას მასერნისი | 24 | 4-5 | 1-4 | 6-6 | 5 | 2 | 2 | 2 | 4 | 0 | 17 |
| ლინას ლეკავიჩუსი | 23 | 6-7 | 0-1 | 4-4 | 3 | 6 | 1 | 0 | 2 | 0 | 16 |
| ჯერმენ გრიფინი | 13 | 3-4 | 0-1 | 1-2 | 3 | 2 | 0 | 0 | 2 | 1 | 7 |
| იაროსლავ ლემიკი | 2 | 0-1 | 0-0 | 0-0 | 1 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 |
| სულ | 200 | 37-53 | 5-21 | 21-22 | 37 | 24 | 8 | 8 | 24 | 13 | 110 |



პოლ მაკფერსონის, დავით უგრეხელიძის და ლაშა გამყრელიძის გარჯა ამაო გამოდგა



ეროვნული ბიბლიოთეკა

# დღეს ხოფერიას შეცვლიან


ზურაბ დოლენჯაშვილის ფოტო

*დღეს სპორტის დეპარტამენტში ტანვარჯიშის ფედერაციის საპრეზიდენტო არჩევნები ჩატარდება და ახალ პრეზიდენტს აირჩევენ. 10 ოქტომბერს კანდიდატების რეგისტრაციის ბოლო ვადა იყო. პრეზიდენტობის მსურველი ორი კანდიდატი გამოჩნდა: კობა სვინტრაძე და ზვიად აბესაძე. ორივე ბიზნესმენია და გაპრეზიდენტების შემთხვევაში გარკვეული გეგმებიც აქვთ, თუმცა მათზე უფრო დაწვრილებით ტანვარჯიშის ფედერაციის პრეზიდენტობის მოვალეობის შემსრულებელმა* ***რუსუდან ხოფერიამ*** *გვიამბო, ვინც ორივე კანდიდატს ესაუბრა და მათი პროგრამაც იცის*

— ორივეს ვესაუბრე. გარკვეული გეგმები აქვთ. თუმც როგორც ამბობენ, შეიძლება აბესაძემ მოხსნას კანდიდატურა, ან საერთოდ არ გამოცხადდეს არჩევნებზე.

**— ვინ ამბობს?**

— ასეთი ხმები ვრცელდება და ვნახოთ. სვინტრაძეს კი საინტერესო გეგმები აქვს. მას გავაცანით ჩვენი პრობლემები და დაგვპირდა, რომ თუ პრეზიდენტი გახდება, ყველანაირად დაგვეხმარება.

**— პირველ რიგში რის მოგვარებას სთხოვთ?**

— ინვენტარის ყიდვას რაც ძალიან პრობლემატურია. ასევე გვინდა, რომ მწვრთნელებს ხელფასები დაენიშნოთ. რამდენიმე მწვრთნელის გარდა ყველას უხელფასოდ უწევს მუშაობა და ბუნებრივია, რთულია ასე საქმის ხარისხიანად კეთება. სვინტრაძე დაგვპირდა, რომ პრობლემებს მოაგვარებს თუ გაპრეზიდენტდება.

**— რამდენი ამომრჩეველი იქნება?**

— სულ 98 ადამიანი. ყველა ვერ მოახერხებს მოსვლას მაგრამ საკმარისი რაოდენობის ამომრჩეველი მოგროვდება. თუ ორი კანდიდატი იქნება. მეტი ხმის მქონე გაიმარჯვებს, თუ ერთი, მაშინ პრობლემაც აღარ იქნება...

**ლექსო მაისურაძე**

ჩოგბურთი







# ქართველებმა პირველ-მეორეზე გაითვალეს

**საკმაოდ** წარმატებული გასული კვირის შემდეგ ქართველი ჩოგბურთელები ახალ ტურნირებში ჩაებნენ, თუმც წინა კვირის ყველაზე გამორჩეული მოთამაშეები — ოქსანა კალაშნიკოვა და ეკა გორგოძე ამჯერად არსად არ ითამაშებენ.

სამაგიეროდ, კორტებზე ისევ გამოჩნდნენ საქართველოს პირველი და მეორე ნომერი ჩოგნები — ანა ტატიშვილი და მაკა ჩახნაშვილი. მათთან ერთად მიმდინარე კვირაში ითამაშებს სოფო ქვაცაბაიაც.

დავიწყოთ მაკა ჩახნაშვილით. საქართველოს მეორე და მსოფლიოს 217-ე ჩოგანი საფრანგეთშია და იქ სენტ რაფაელში მიმდინარე შეჯიბრებში მონაწილეობს. ამ ტურნირის საპრიზო ფონდი 50 ათას ამერიკელი დოლარია. ჩახნაშვილმა საკვალიფიკაციო ეტაპიდან დაიწყო თამაში, პირველ შეხვედრაში მოუგო ფრანგ ფანი ფრაციასის — 6:1 6:1 თუმც შემდეგ უკვე თვითონ წააგო ლუქსემბურგელ მენდი მანელისთან — 4:6 4:6. წესით, საფრანგეთში ქართველის თამაში ამით უნდა დასრულებულიყო, მაგრამ აქ ძირითად ბადეში მაინც მოხვდა, როგორც „იღბლიანი დამარცხებული“.

ძირითადი ბადის პირველ წრეში ჩახნაშვილის მეტოქე იქნება გერმანელი იულია შრუფი, დღესდღეობით მსოფლიოს 126-ე ჩოგანი. 26 წლის შრუფი ორი წლის წინ 52-ე ჩოგანიც კი გახლდათ. ერთი სიტყვით, მაკას ადვილი შეხვედრა ნამდვილად არ ელის.

უკვე დაიწყო თამაში ესპანეთის ქალაქ სევილიაში ახალგაზრდა სოფო ქვაცაბაიამ, რომელმაც 10-ათასიანი ტურნირის ძირითად ბადეში მოასწრო ერთი შეხვედრის გამართვა და რაც მთავარია, მოგება.

პირველ წრეში მისი მეტოქე ბულგარელი ევგენია იორდანოვა იყო. მას ჩვენიანმა დიდი პრობლემების გარეშე აჯობა — 6:2 6:4. მეორე წრეში ქვაცაბაიას მეტოქის ვინაობა ჯერ ისევ არ არის გარკვეული, ეს ან იტალიელი, ტურნირზე მეექვსე ნომრად განთესილი აგნესე ზუჩინი იქნება, ანაც ესპანელი კვალიფიკაციაგამოვლილი ლაურა აპაოლაზა მორადევილია.

სულ ბოლოს ანა ტატიშვილის შესახებაც, რომელიც უკვე რამდენიმე კვირაა, ინარჩუნებს საქართველოს პირველი ჩოგანის სტატუსს, მსოფლიოში კი 163-ე გახლავთ. ამჯერად ახალგაზრდა ქართველი გოგონა ლორენსვილში აპირებს თამაშს. ამ ტურნირის საპრიზო ფონდი 50 ათასი ამერიკული დოლარია. ჩვენი მოთამაშე ძირითად ბადეში მეხუთე ნომრადაა განთესილი და პირველ წრეში ამერიკელ აშა როულს უნდა ეთამაშოს. როული 23 წლის არის და მსოფლიოს 221-ე ჩოგანია.

**გიორგი არაბული**

ძიუდო

# ახალგაზრდებმა მსოფლიოსთვის ლიპარტელიანი დაიმატეს


ზურაბ დოლენჯაშვილის ფოტო

**საქართველოს** ძიუდოისტთა ახალგაზრდული ნაკრები გორშია შეკრებაზე. ბორის ფირცხელიანის შეგირდები მსოფლიოს ჩემპიონატისთვის მოსამზადებელ დასკვნით ეტაპს გადიან. ახალგაზრდულ ნაკრებს მოგვიანებით ვარლამ ლიპარტელიანიც შეუერთდა. ლიპარტელიანი ტაილანდში 90 კილოგრამ წონით კატეგორიაში იჭიდავებს. შეგახსენებთ, ვარლამმა სულ ცოტა ხნის წინ საქართველოს ნაკრებთან ერთად, მსოფლიოს გუნდური ჩემპიონატის ტიტული მოიგო. იგი უდავოდ უნიჭიერესი ფალავანია და დამდეგ მსოფლიოს ჩემპიონატზეც მისგან მხოლოდ უმაღლეს შედეგს ელიან.

ბორის ფირცხელიანის გუნდი გორში მეტ-ნაკლებად ოპტიმალური შემადგენლობით ვარჯიშობს. ტაილანდში საქართველოს სახელით ეს ძიუდოისტები იჭიდავებენ: *მიხეილ მჭედლიშვილი (60 კგ), ოლეგ აფაქიძე (66 კგ), ავთანდილ ჩირიკაშვილი (73 კგ), ზაზა დავაძე (81 კგ) , ვარლამ ლიპარტელიანი (90 კგ), კონსტანტინე მუკვანი (100 კგ) და ლევან მუქერია (+100 კგ).*

საქართველოს ნაკრებს გამოაკლდა პოლონეთში სკანდალში გახვეული სამი ძიუდოისტი.

მსოფლიოს ჩემპიონატი ტაილანდში 23-26 ოქტომბერს გაიმართება და მასში კაცებთან ერთად საქართველოს ქალთა ნაკრებიც გამოვა.

**ზურაბ მიგრიაული**

საქართველო კალათბურთის ფედერაცია ულოცავს
ეროვნული ნაკრების კაპიტან ზაზა ფაჩულიას
ვაჟის შეძენას და ჯანმრთელობას
უსურვებს ახალშობილს

სარბიელელები ვულოცავთ ეროვნული ნაკრების კაპიტან
ზაზა ფაჩულიას ვაჟის შეძენას. ჯანმრთელობას და
ბედნიერებას ვუსურვებთ

კალათბურთი




# ფაჩულიას მამობა მოუხდა

**ერთმატჩიანი** შესვენების შემდეგ ჯორჯიულ „ატლანტა ჰოუქსს“ დაუბრუნდა საქართველოს ნაკრების კაპიტანი ზაზა ფაჩულია.

წინასასეზონო მატჩი მან „პორტლენდთან“ იმის გამო გამოტოვა, რომ ვაჟი შეეძინა და კალათბურთის სათამაშოდ ნამდვილად არ ეცალა. ახლა ის უკვე გუნდთან ერთად იყო და შინაურ „ფილიპს ცენტრში“ შარლოტელების დამარცხებაში თავისი წვლილიც შეიტანა.

ჯერჯერობით სამივე შეხვედრაში ზაზამ 10 ქულაზე მეტი დააგროვა და დაცვაშიც საკმაოდ კარგად გამოიყურებოდა.

ერთი ეგაა, რომ ამჯერად ქართველმა კალათბურთელმა საკმაოდ ბევრი, ექვსი შეცდომა დაუშვა. თუმცა ფაჩულიამ ამჯერად უკეთესად ითამაშა, ვიდრე მისმა ახალგაზრდა კონკურენტმა ელ ჰორფორდმა.

ამასთან ერთად, ზაზამ აშკარად აჯობა მეტოქე გუნდის ცენტრს ემეკა ოკაფორს. სხვათა შორის, ფაჩულიამ წინასასეზონო მატჩებში ამჯერად ყველაზე მეტი დრო დაჰყო მოედანზე.

**ატლანტა 88:87 შარლოტი**

**ზაზა ფაჩულია:** *23 წუთი, 11 ქულა, 7 მოხსნა, 1 ჩაჭრა, 6 დაკარგვა, 4 პერსონალური შენიშვნა, 3-დან 2 ორქულიანი, 7-დან 7 საჯარიმო.*

რაგბი

# შოტლანდია საქართველოს სქოთებს მასპინძლობა გაუცვალა

**თითქმის** გადაწყვეტილია, რომ საქართველოს მორაგბეთა ნაკრები 14 ნოემბერს შოტლანდიის A ნაკრებთან ტესტ-მატჩს ითამაშებს. ეს ამბავი საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტმა გია ნიჟარაძემ დაგვიდასტურა: „მგონი, შოტლანდიაში ჩვენს გამგზავრებას წინ აღარაფერი დაუდგება. მხოლოდ მცირე დეტალებია მოსაგვარებელი, რისი გადაჭრაც ნამდვილად შეგვიძლია“.

საქმე ის არის, რომ შოტლანდიის A ნაკრები ნოემბერში საქართველოში უნდა ჩამოსულიყო და აქ უნდა გაემართა მატჩი, მაგრამ ქვეყანაში შექმნილი საომარი სიტუაციის გამო ბრიტანელებმა უარი განაცხადეს და „ბორჯღალოსნები“ თავისთან დაპატიჟეს.

**ზურაბ მიგრიაული**

სეოკ-ის საანგარიშო-საარჩევნო სესიაზე (2008 წლის 31 ოქტომბერი) დასასწრებად ჟურნალისტთა სარეგისტრაციოდ განცხადების მიღება იწარმოებს 20 ოქტომბრამდე.

საქართველოს კალათბურთის ფედერაცია აცხადებს მიღებას მსაჯთა მომზადების კურსებზე. მსურველებს გთხოვთ დაგვიკავშირდეთ მისამართზე: ჭავჭავაძის გამზირი 49ა. ტელეფონი: 91 33 54

ველორბოლა

# სულ სხვა ტური
## როგორ გაეტევა ამდენი დიადი ტრიუმფალური თაღის ქვეშ?


ივან ბასო „ტურ დე ფრანსის“ მოსაგებად ბრუნდება

ნუ დაიზარებთ და, გაისად ივლისში „ტურ დე ფრანსს“ უყურეთ. ცოტა უცნაური თხოვნაა, მაგრამ მაინც– და ეს, მიუხედავად იმისა, რომ ველოსპორტი დოპინგმა წალეკა. აგერ, წლევანდელი „ტურის“ საუკეთესო სამთო მრბოლის, ავსტრიელი ბერნარდ კოლის სისხლშიც იპოვეს CERA-ად წოდებული ახალი თაობის ერითროპოეტინი.

საფრანგეთის ანტისადოპინგო სამსახურის მავანმა წარმომადგენელმა ამას წინათ ბრძანა, შტეფან შუმახერისა და ლეონარდო პიეპოლის გარდა სხვა მრბოლის ანალიზმაც დადებითი პასუხი მოგვცაო და ეს სხვა კოლი აღმოჩნდა. უფრო ადრე რიკარდო რიკოც ამხილეს CERA-ს მიღებაში.

და, მიუხედავად ამ ყველაფრისა, გაისად ივლისში „ტურ დე ფრანსი“ რომ დაიწყება, როგორმე დრო გამონახეთ და ყველა თუ არა, სამთო ეტაპები მაინც ნახეთ.

მაგარი ომი უნდა გამოვიდეს. უბრალოდ, გვარები ჩამოვთვალოთ — კარლოს სასტრემ წლეულს „ტური“ დანიური CSC-ის სახელით მოიგო და ახლა ახალ, ოღონდაც ესპანურ გუნდს ეძებს და უბრძოლველად ტიტულის დამთმობი ნამდვილად არ ჩანს; მეორე ესპანელმა, „ტურის“ შარშანდელმა გამარჯვებულმა ალბერტო კონტადორმა წლეულს თავისი „ასტანას“ გადამკიდემ ტიტული ვერ დაიცვა, მაგრამ, სამაგიეროდ, წყვილად მოიგო „ჯირო დიტალია“ და „ვუელტა ესპანა“ და ახლა, ისევ და ისევ „ტურზეა“ დაგეშილი. ოღონდაც, ალბერტოს გვარიანი პრობლემა გაუჩნდა ლენს არმსტრონგის სახით. დიდმა ამერიკელმა, ფრანგული სუპერრბოლის შვიდგზის მომგებმა კაცმა დაბრუნება გადაწყვიტა და თვალი, მაინცდამაინც „ასტანას“ დაადგა. ესე იგი, თუ კონტადორი ყაზახებთან დარჩა, კაცმა არ იცის, თუ ვინ იქნება ამ ველოგუნდის ლიდერი და ესეც დამატებითი ინტრიგაა. თუ არ დარჩა და სხვა გუნდში გადავიდა, მით უმეტეს — არმსტრონგი და კონტადორი ამ შემთხვევაში სამკვდრო-სასიცოცხლოდ დაეტაკებიან ერთმანეთს.

აქვე არმსტრონგთან დაკავშირებულ უახლეს ამბავს გეტყვით — ამერიკელმა „ჯიროში“ მონაწილეობის გადაწყვეტილება მიიღო. ეს ლენსის პირველი გამოსვლა იქნება იტალიურ სუპერრბოლაში და თანაც, ამერიკელი არა უბრალოდ გამოსვლას, არამედ გამარჯვებას გეგმავს და შეეცდება, ლეგენდარული იტალიელის, მარკო პანტანის შემდეგ პირველი მრბოლი გახდეს, ვინც „ჯიროსა“ და „ტურს“ ერთ სეზონში წყვილად მოიგებს.

სასტრე, კონტადორი, არმსტრონგი და ნუ დავივიწყებთ ავსტრალიელ კედელ ევანსსა და კიდევ ერთ ესპანელ ალეხანდრო ვალვერდეს. ბოლო ორი წელია, ევანსი მეორეა „ტურზე“ და გაისად კიდევ ერთხელ შეეცდება, ელისეს მინდვრებზე, არა ვიცეს, არამედ სრულფასოვანი ჩემპიონის სტატუსით რომ შეგრიალდეს. რაც შეეხება ვალვერდეს, მანაც ხომ უნდა გაისროლოს ერთხელ და ჯერ კიდევ ძველი არმსტრონგის ეპოქაში გაცემული ავანსები გაამართლოს.

ახლა თავიდან ჩამოვთვალოთ: სასტრე, კონტადორი, არმსტრონგი, ევანსი, ვალვერდე და... ივან ბასო, ფლოიდ ლენდისი და ალექსანდრ ვინოკუროვი. დიახ, დიახ, ბასო, ლენდისი და ვინოკუროვი. დიდი ველოტურები ამათ, სამივეს მოუგიათ — ბასოს „ჯირო“, ლენდისს „ტური“, ხოლო ვინოკუროვს „ვუელტა“. მართალია, ლენდისს ის, შარშანწინდელი გამარჯვება არ ჩაუთვალეს და მერე, ისევე როგორც ბასოსა და ვინოკუროვს, დისკვალიფიკაცია მისცეს, მაგრამ მერე რა, ელისეს მინდვრებზე შამპანური ხომ სწორედ მან დალია და არა ოსკარ პერეირო სიომ, ვისაც მოგვიანებით ჩემპიონობა მიაკუთვნეს.

ახლა დისკვალიფიკაციის ვადა ბასოსაც გაუვიდა, ლენდისსაც და ვინოკუროვსაც და გაისად სამივენი „ტურისთვის“ ილესავენ კბილებს. „ვინო“ სულაც იმას ამბობს, ყაზახი ვარ და „ასტანას“ არ დავთმობ, კონტადორი და არმსტრონგი მე არ ვიცი, ეს გუნდი ჩემთვის შეიქმნა, მე ამ გუნდისთვის ვბრუნდები და სწორედ მე უნდა ვიყო „ასტანას“ ლიდერიო.

ბასო კი, თუ ეს, დისკვალიფიკაციის ორი წელი მთლად უქმად არ ყოფილა, მთავარი ფავორიტი იქნება. ასე გვგონია. დანარჩენი, გაისად ივლისში გამოჩნდება.

ნუ დაიზარებთ, უყურეთ „ტურ დე ფრანსს“.

სნუკერი

დიდი პრიზი. გლაზგო. შოტლანდია. 11-19 ოქტომბერი



ეროვნული ბიბლიოთეკა

# სელბიმ ასი გაასამა

**გლაზგოში** მიმდინარე გრან პრის მესამე სათამაშო დღეს ოთხი მატჩი ჩატარდა. ოთხივე სატურნირო ბადის ქვედა ნახევარში და ბრძოლა კი არც ერთში არ შედგა. 5:0, 5:0, 5:1, 5:1 — აი, ასეთი ანგარიშებით დასრულდა ეს შეხვედრები და, თუ მარკ სელბის, პიტერ ებდონისა და დინ ჯუნხუს იოლი გამარჯვებები არავის გაკვირვებია, მსოფლიო რეიტინგის მეორე ნომერი და მასპინძელთა უმთავრესი იმედი სტივ მაგუაერი 1:5-ს თუ წააგებდა ინგლისელ ჯეიმი კოუპთან, ვერავინ წარმოიდგენდა.

კოუპმა ამასწინათ, შანხაის მასტერსზე, უელსელ მარკ უილიამსთან კი წააგო, მაგრამ იმ შეხვედრაში მაქსიმალური, 147-ქულიანი ბრეიკი გააკეთა და ჩინური განწყობა, ეტყობა, შოტლანდიაშიც გადაიყოლა, ლამაზი თამაშით გადაუარა დიდი პრიზის ერთ-ერთ ფავორიტს.

5:1 დასრულდა ინგლისელების, პიტერ ებდონისა და საიმონ ბელფორდის შეხვედრაც. მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონმა კვალიფიკაციიდან წამოსულ თანამემამულეს უპრობლემოდ მოუგო და ერთი ასქულიანი ბრეიკიც გააკეთა.

ერთი კი არა, ერთბაშად სამი ასქულიანი ბრეიკი გააზერხა მარკ სელბიმ. მეორე ფრეიმში 102 ქულა, მეოთხეში — 135, მეხუთეში კი — ზუსტად 100 და ორი ინგლისელის დავაში ენდრიუ ჰიგინსონს არანაირი შანსი არ ჰქონია.

5:0 მოუგო შოტლანდიელ ჯეიმი ბარნეტს ჩინელმა დინ ჯუნხუმაც. დინს ასქულიანი ბრეიკი არ გაუხერხებია, მაგრამ ისედაც თავზე გადაუარა მაგიდის მასპინძელს და ახლა, მეორე წრეში, ინგლისელ მაიკლ ჰოლტს შეხვდება.

ჰოკეი

# რეგულარული ჩემპიონატი

13 ოქტომბერი

**ტორონტო 4:5 სენტ ლუისი**

3:0 1:3 1:0 0:0 (0:1 ბულიტებით)

1:0 კაბერლე (4), 2:0 კულემინი (15), 3:0 პონიკაროვსკი (17), 3:1 ბოისი (21), 3:2 ბერგლუნდი (25), 3:3 ტკაჩუკი (26), 4:3 ჰაგმანი (35), 4:4 კარია (45)

**აილანდერსი 1:7 ბუფალო**

0:1 0:4 1:2

0:1 ხეხტი (11), 0:2 მეირი (23), 0:3 ვანეკი (28), 0:4 პომინვილი (29), 0:5 ვანეკი (31), 0:6 კოტალიკი (41), 1:6 ჰანტერი (46), 1:7 მაკარტური (50)

**ვაშინგტონი 5:1 ვანკუვერი**

2:1 3:0 0:0

1:0 სიომინი (3), 1:1 ედლერი (5), 2:1 გრინი (17), 3:1 იურჩინა (25), 4:1 სიომინი (26), 5:1 ნიულანდერი (37)

**კაროლინა 1:3 დეტროიტი**

0:1 1:1 0:1

0:1 ლიდსტრომი (7), 1:1 კორვო (21), 1:2 ჰოლმსტრომი (26), 1:3 ზეტერბერგი (60)

**რეინჯერსი 4:1 ნიუ ჯერსი**

1:0 1:1 2:0

1:0 დუბინსკი (14), 2:0 ვოროში (27), 2:1 მადენი (39), 3:1 ვოროში (42), 4:1 კალაჰენი (60)

**ფილადელფია 3:5 მონრეალი**

0:0 2:1 1:4

0:1 ა. კოსტიცინი (21), 1:1 კარტერი (23), 2:1 რიჩარდსი (25), 2:2 ჰამრლიკი (42), 2:3 კომისარეკი (43), 2:4 ლანგი (54), 3:4 განიე (55), 3:5 ბეგინი (60)

**ჩიკაგო 2:3 ნეშვილი**

1:2 1:0 0:0 0:0 (0:1 ბულიტებით)

1:0 ჰავლატი (7), 1:1 ვებერი (10), 1:2 კლინი (13), 2:2 შარპი (21)



ჩიკაგო — ნეშვილი: სტუმარმა კევინ კლინმა კრისტობალ იუე დაამწუხრა

კალათბურთი

# ჰაი, ჰაი, ოკლაჰომა!

**დღეს** უკვე ეჭვს აღარ იწვევს, რომ ნბა-ს ერთი ყველაზე წყალწაღებული გუნდი „მემფის გრიზლიზი“ იმ ხავსს მოეჭიდება, რომელსაც ოჯეი მაიო ჰქვია. ეს ბიჭი მხოლოდ 20 წლისაა და მისისიპელებმა ის ამ ზაფხულს დრაფტზე მესამე ნომრად აიყვანეს, თანაც ის რომ შეხვედროდათ, რთული სავაჭრო კომბინაცია ჩახლართეს და თავიანთი საუკეთესო მოთამაშე მაიკ მილერი „მინესოტას“ დაუთმეს.

მაიო თანდათან ეჩვევა ლიდერის ტვირთს და ამაში, უდავოდ, ეხმარება საგამოფენო თამაშები, რომლებიც წინ უსწრებენ რეგულარულ ჩემპიონატს. ორშაბათს „დათვები“ „ინდიანას“ მასპინძლობდნენ და მაიო ორივე გუნდში საუკეთესო იყო — რვა შორეული ტყორცნიდან ექვსი ჩააგდო, სულ 26 ქულას მოუყარა თავი და 4 მოხსნასა და 3 პასს 5 ჩაჭრაც წაუმატა. რა გასაკვირია და ასეთი ლიდერის მყოლმა „მემფისმა“ „ინდიანა“ დაამარცხა, მაგრამ ისიც სათქმელია, რომ „ინდიანას“ რამდენიმე ლიდერი აკლდა. მემფისელები მაინც კმაყოფილოები ჩანან — მაიომ სამ-ოთხ თამაშში ერთხელ რომ აჩვენოს მსგავსი სტატისტიკა, სეზონის საუკეთესო ახალბედობას შესწვდება.

ორშაბათს გამოირჩა გასული სეზონის საუკეთესო ახალბედაც. ყოფილმა „სიეტლ სუპერსონიქსმა“, აწ კი „ოკლაჰომა თანდერმა“ ახალი სახელით პირველი გამარჯვება ჩაიწერა, როცა ჰიუსტონში იქაური „როკიტსი“ დაძაბულ ფინალში დაამარცხა. ოკლაჰომელთა ლიდერმა კევინ დურანტმა მოედანზე გული დატოვა და იქიდან 26 ქულა, 5 მოხსნა, 4 პასი და 4 ჩაჭრა გამოიტანა.

ორშაბათს მეოთხე საგამოფენო თამაშში მესამე გამარჯვება მოირჩა ზაზა ფაჩულიას „ატლანტამ“, რომელსაც ამჯერად მეზობელი „შარლოტი“ შემოემარცხა. ზაზამ 23 წუთში 11 ქულა და 7 მოხსნა მოაგროვა. მის გუნდში საუკეთესოები კი მაინც შტატიანი ბომბარდირები — ჯო ჯონსონი (17 ქულა) და ჯოშ სმიტი (16 ქულა) იყვნენ).



მარდი ფიში

# ფიშის ქორწილში ბლეიკი დამთვრალა

**კაცები**
მადრიდი. ესპანეთი. ჰარდი
საპრიზო 2 270 000 ევრო

**პირველი წრე**

**ერნესტ გულბისი** (ლატვია) — ნიკლას კიფერი (გერმანია) 5:7 6:4 7:5; **მარდი ფიში** (აშშ) — სტივ დარსისი (ბელგია) 6:1 6:4; **ფილიპ კოლშრაიბერი** (გერმანია) — კარლოს მოია (ესპანეთი) 6:2 6:2; **ტომი რობრედო** (ესპანეთი) — ანდრეას სეპი (იტალია) 7:6 3:6 6:3; **გაელ მონფილზი** (საფრანგეთი) — ფაბიო ფონინი (იტალია) 6:2 6:4; **მარინ ჩილიჩი** (ხორვატია) — ოლივიე რობუსი (ბელგია) 6:3 7:5; **სიმონე ბოლელი** (იტალია) — ნიკოლას ალმაგრო (ესპანეთი) 7:6 6:1; **ტომაშ ბერდიხი** (ჩეხეთი) — რაინერ შუტლერი (გერმანია) 6:1 6:2; **იარკო ნიემინენი** (ფინეთი) — მიხაილ იუჟნი (რუსეთი) 7:5 3:6 6:2; **მარსელ გრანოლიერს-პუიოლსი** (ესპანეთი) — პოლ-ანრი მატიო (საფრანგეთი) 6:4 6:4; **რადეკ შტეპანეკი** (ჩეხეთი) — ხუან მონაკო (არგენტინა) 6:1 6:1

**მეორე წრე**

**ჟილ სიმონი** (საფრანგეთი) — ჯეიმს ბლეიკი (11, აშშ) 3:6 6:1 6:4;

**ქალები**
ციურიხი. შვეიცარია. ჰარდი
საპრიზო 600 000 დოლარი

**პირველი წრე**

**ვიქტორია აზარენკა** (ბელარუსი) — ამელი მორესმო (საფრანგეთი) 6:2 6:1; **მარია კირილენკო** (რუსეთი) — დანიელა ჰანტუხოვა (8, სლოვაკეთი) 7:5 6:2; **ალონა ბონდარენკო** (უკრაინა) — ალიზ კორნე (საფრანგეთი) 1:6 6:3 7:6

**მადრიდში** მასტერსის სერიის ბოლოსწინა ტურნირი დაიწყო. ესპანეთის დედაქალაქში კაცთა ჩოგბურთის მთელმა ელიტამ მოიყარა თავი. თანაც სეზონის მიწურულისკენ ასეთი ტურნირი დამატებით მნიშვნელობას იძენს, რადგანაც ამ დროს წლის შემაჯამებელ ტურნირზე მომხვედრთა ვინაობა ირკვევა ხოლმე. თუმც მოდით, ყველაფერს თანმიმდევრობით მივყვეთ.

ფავორიტებმა პირველი წრე ტრადიციულად გამოტოვეს და ამიტომ ბობოლათა უმეტესობას ჯერაც არ დაუგემოვნებია მადრიდული ჰარდი. ხოლო იმათგან, ვისაც უკვე მოუწია თამაში, მარდი ფიშის მოგება უნდა გამოვყოთ, რომელიც ორ სეტში მოერია სტივ დარსის.

ამერიკელით იმიტომ დავიწყეთ, რომ სულ რაღაც ერთი კვირის წინ მან ცოლი მოიყვანა და იმის მაგივრად, რომ რომელიმე მზიან კუნძულზე წასულიყო თაფლობისთვის გასატარებლად, მადრიდს მიაშურა. მეორეს მხრივ კი, ფიშის გაგებაც შეიძლება, რადგანაც ის ესპანეთის დედაქალაქის მასტერსზე პირველად თამაშობს — აქამდე ან ტრავმა აწუხებდა და ანაც თავად ზარმაცობდა და პირინეებს თავს არიდებდა ხოლმე. ჰოდა, მარდიბიჭსაც დაკარგულის ანაზღაურება მოუნდა.

ჩვენში დარჩეს და, ისეთი პირი უჩანს, რომ ამ ქორწილში სიძეზე მეტად ჯეიმს ბლეიკს მოულხენია. ეს შავ-შავი ამერიკელი ფიშის მეჯვარე გახლდათ და, ეტყობა, ზედმეტი პასუხისმგებლობით მოეკიდა თავის მოვალეობას. ყოველ შემთხვევაში, ჟილ სიმონთან გუშინდელ შეხვედრაში ბლეიკის შემხედვარე კაცი იფიქრებდა, ეს ბიჭი აშკარად ნაბახუსევზე არისო. ჯეიმსი ბლომად უაზრო და სრულიად მარტივ შეცდომებს უშვებდა და ამის გამო მისი მარცხი არავის გაკვირვებია. იანკისთვის კი ყველაზე ცუდი ის არის, რომ ამ წაგებით მან ძალიან გაიუარესა წლის შემაჯამებელ ტურნირზე მოხვედრის შანსი.

სხვა მატჩებიდან ერნესტ გულბისისა და რადეკ შტეპანეკის გამარჯვებები გამოვყოთ, რომლებსაც ამით დიდი „პატივი“ მიეგოთ — ახლა მათ თანამედროვეობის ორ საუკეთესო მეჩოგნესთან მოუწევთ დატაკება. ლატვიელი რაფაელ ნადალს შეხვდება, ჩეხი კი — როჯერ ფედერერს. მეორე საკითხია, ეს „პატივი“ რამდენად სჭირდებოდათ, რადგანაც თუ რაიმე სასწაული არ მოხდა, ორივეს გვარიანად გაასილაქებენ.

დიდი წვალებით იმარჯვა ტომი რობრედომ, რომელსაც ორსაათ-ნახევარი დასჭირდა ანდრეას სეპის გასატეხად. შემდეგ წრეში ესპანელს ენდი როდიკთან ელის შეხვედრა — აქამდე პირინეელი 8-ჯერ გადაეყარა ამერიკელს და ამდენჯერვე გაილახა, მაგრამ ახლა იმედიანად არის:

„კარგია, ენდისთან თამაში აქ რომ მომიწევს. დარწმუნებული ვარ, ტრიბუნების მხარდაჭერა დამეხმარება და მასთან ნავსს გავტეხ. თანაც წლეულს რომში თანაბრად ვეთამაშე და სამსეტიან დაძაბულ ჯახში წავაგე“.

მაგრამ სწორედ ასეთ სიტუაციაზეა ნათქვამი, ნეტარ არიან მორწმუნენიო — რობრედოს ავიწყდება, რომ რომში თამაში თიხნარზე გაიმართა, ეს კი ესპანელის საყვარელი და როდიკისთვის საძულველი საფარია. ჰოდა, ამერიკელმა ამდაგვარ ვითარებაშიც მოუგო და აბა, ჰარდზე რაღას უზამს...

ქალები კი ამ კვირაში ციურიხში ითამაშებენ. კორტზე გასვლას გეგმავს ბოლო სამ კვირაში ამდენივე ტიტულის მომხვეჭელი ელენა იანკოვიჩიც. სერბმა განაცხადა, აქ ვითამაშებ და მერე დასვენებას ვაპირებ, რომ წლის შემაჯამებელი ტურნირისთვის ხეირიანად მოვემზადოო.

თუმც იანკოვიჩი ჯერ უქმობს, ხოლო იმათგან, ვინც ციურიხში უკვე გამართა პირველი შეხვედრები, დანიელა ჰანტუხოვას წაგებაა გამოსაყოფი — მინიატურული სლოვაკი ვერაფრით ჩადგა ფორმაში და სულ უფრო იუარესებს სარეიტინგო მდგომარეობას. ამჯერად დანიელას მოსარევი ძალა მარია კირილენკოსაც აღმოაჩნდა.

ასევე უიღბლო დღე ჰქონდათ ფრანგებს — ვიქტორია აზარენკამ გვარიანი ალიყური აჭამა ამელი მორესმოს და გამოცდილ გალს მხოლოდ სამი გეიმი დაუთმო. წააგო ფრანგთა ამომავალმა ვარსკვლავმა ალიზ კორნემაც, რომელსაც სეზონის მიწურულს აშკარად გადაღლილობა ეტყობა და ამიტომ უკვე კარგა ხანია, გამარჯვება არ დაუგემოვნებია. გუშინ კი კორნე ალონა ბონდარენკომ მიჩოგნა.

**კახა ლომაშვილი**



## ჩემპიონთა ლიგა. კაცები

**ჯგუფური ეტაპი. მეორე ტური**

**A ჯგუფი**

გრანიტასი (ლატვია) 32:42 შამბერი (საფრანგეთი)
პივოვარნა (სლოვენია) 35:22 ჰამარბი (შვედეთი)
*შამბერი 4 ქულა, პივოვარნა, ჰამარბი 2-2, გრანიტასი 0*

**B ჯგუფი**

დოუძსი (საბერძნეთი) 23:41 სვენდბორგი (დანია)
სიუდად რეალი (ესპანეთი) 40:24 სარაევო (ბოსნია)
*სიუდად რეალი 4 ქულა, სვენდბორგი, სარაევო 2-2, დოუქსი 0*

**C ჯგუფი**

ბარსელონა (ესპანეთი) 30:19 მეტალურგი (მაკედონია)
დრამენი (ნორვეგია) 29:39 კილი (გერმანია)
*ბარსელონა, კილი 4-4 ქულა, მეტალურგი, დრამენი 0-0*

**D ჯგუფი**

პრესოვი (სლოვაკეთი) 27:23 ცრვენა ზვეზდა (სერბეთი)
ჰანდბოლდი (დანია) 31:31 ჰამბურგი (გერმანია)
*ჰანდბოლდი, ჰამბურგი 3-3 ქულა, პრესოვი 2, ცრვენა ზვეზდა 0*

**E ჯგუფი**

ჩეხოვსკი მედვედი (რუსეთი) 34:26 პორტლენდი (ესპანეთი)
სტიაუა (რუმინეთი) 28:26 კოპერი (სლოვენია)
*ჩეხოვსკიე მედვედი 4 ქულა, პორტლენდი, სტიაუა 2-2, კოპერი 0*

**F ჯგუფი**

ფლენცბურგი (გერმანია) 35:29 ჰოუკესი (ისლანდია)
ზაპოროჟიე (უკრაინა) 25:32 ვეზპრემი (უნგრეთი)
*ვეზპრემი 4 ქულა, ფლენცბურგი, ჰოუკესი 2-2, ზაპოროჟიე 0*

**G ჯგუფი**

ბრეგენცი (ავსტრია) 30:34 ადემარრეალი (ესპანეთი)
მონპელიე (საფრანგეთი) 36:29 ციურიხი (გერმანია)
*ადემარრეალი 4 ქულა, მონპელიე, ციურიხი 2-2, ბრეგენცი 0*

**H ჯგუფი**

პიკი (უნგრეთი) 24:28 რაინ ინეიკესი (გერმანია)
ოსიგურანჭე (ხორვატია) 34:17 ვისლა (პოლონეთი)
*ოსიგურანჭე, რაინ ინეიკესი 3-3 ქულა, პიკი 2, ვისლა 0*



# გრანდები არხეინობენ

**ხელბურთის** ყველაზე პრესტიჟულმა საკლუბო გათამაშებამ, ჩემპიონთა ლიგამ, მეორე ტურის მატჩები ჩაითამაშა და რამდენიმე თვალსაჩინო თამაშიც გამოცხვა.

გრანდებიდან წაფორხილებას ჯერ არავინ აპირებს. აგერ, უკვე მეორე ტურია, „ბარსაც“ „კილიც“ და ჩემპიონი „სიუდად რეალიც“ გადარბენით იგებენ თამაშებს და მომდევნო ტურის შეხვედრებსაც დაარხეინებულნი ელოდებიან.

კიდევ ერთმა გერმანულმა გრანდმა „ფლენცბურგმა“ კი პირველ ტურში სტუმრად უნგრულ „ვეზპრემთან“ წაგების შემდეგ თვალებში გამოიხედა და ისლანდიურ „ჰოუკესს“ მოუგო.

ასევე მეორე თამაში მოიგო რუსულმა „ჩეხოვსკი მედვედმა“ და ცხრილის თავშიც წამოსკუპდა. თუმც ჯერ ყველაფერი წინაა, რაკილა თამაშების მეტი ნაწილი მოსალევია და ჯგუფიდან გამსვლელთა ვინაობას მომდევნო შეხვედრები მოფენენ ნათელს...

**ლექსო მაისურაძე**


**სარბიელი**
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი გიორგი დარჯანია
მთავარი რედაქტორის მოადგილე კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი ზვიად მოსიაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ნუგზარ ლოლაძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ქორქულიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვიაჩესლავ გასპაროვი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიორგი ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ვლადიმერ ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: თამაზ მიგრიაული, გრიგოლ ხვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ ღოლენჯაშვილი, ბადრი კვიციაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლიანა ბეხვლია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ქრისთავი, თამარ ქინქლაძე
სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00



რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge